# საერთო გაზეთი

№15 (607)
ოთხშაბათი
28 აპრილი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


## სანამ ბიძინა ივანიშვილი საქართველოში იქნება, აქ ომის და სისხლისღვრის საშიშროება არ არსებობს





„დავკარგეთ ზუსტად ის პერიოდი, რაც ირაკლი ღარიბაშვილი აღარ იყო მთავრობაში, როგორც პრემიერ-მინისტრი“

## სპეცამნისტია აბრაგი მელიასთვის



## გზა „ბოროტების საქმოს“ წევრობიდან – „ნელსონ მანდელას სტატუსამდე“



ვინ არის „პოლიტპატიმარი“ ჟორიკა რურუა?

## ხურუშიანების დოლი




რა უნდა, თქვენთან მორალს, თქვე ფულისა და ძალაუფლების ხურუშიანებო?

## გოდოს მოლოდინში



ნაციონალები ელოდებიან თავიანთ გოდოს, მიშას, ის კი არა და არ ჩანს და არც არასდროს გამოჩნდება.

ისინი კი მაინც დაელოდებიან, დაელოდებიან მთელი ცხოვრება.

დაელოდებიან და ელოდონ — დალოდების უფლება ყველას აქვს...

## ბაიდენმა სომხების გენოციდი აღიარა, სომხები ზეიმობენ, თურქები გლოვობენ



მწყემსი ირაკლი: „მივალ, მივყვები მე ჩემს ფარასა“



ვინ გასცემს პასუხს კითხვაზე, რატომ არის საქართველო ღარიბი ქვეყანა?

## ქალბატონი პრეზიდენტები





**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

## რედაქტორის სვეტი



# გოდოს მოლოდინში

ძალიან ვცდილობ, მაგრამ ამ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს ვერაფერი გავუგე.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხაზგასმული სიძულვილით და აგრესიით ეპყრობიან ყველას, ვინც მათ მოსაზრებებს არ იზიარებს, მე, პირადად, არ მძულს ისინი.

სიძულვილით არ მძულს, მაგრამ მათ საქციელს რომ ვუყურებ, უფრო გაოცებული და გაკვირვებული ვარ — რა სჭირთ ამ ადამიანებს? ასე რამ დაუბინდათ გონება და რამ დაუკარგათ საღად აზროვნების უნარი?

კაცი, რომელსაც გულწრფელად სჯერა, რომ შემოდგომაზე მიშა ჩამოვა, წინ წარუძღვება საპროტესტოდ აზვირთებულ მასებს და „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებს, დიდი ალბათობით, ნორმალური არ არის.

არადა, 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს თუ დავუჯერებთ, ასეთი 500 000 ადამიანი ცხოვრობს საქართველოში.

მე არც ამისი მჯერა, რადგან, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ პატარა ქვეყანას 500 000 არანორმალური მოქალაქე ჰყავდეს.

მე არ მჯერა, მაგრამ ამ ციფრს რა ვუყოთ, ამ 27%-ს, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ არჩევნებში მიიღო?

ნუთუ მართლა გაყალბდა არჩევნები, ოღონდ გაყალბდა არა „ქართული ოცნების“, არამედ „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ?

კი, მაგრამ, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

— როგორ შეიძლებოდა და მრავალნაირად — გაყალბების უამრავი მექანიზმი არსებობს, რომლებსაც ნაციონალები შესანიშნავად ფლობენ. სინამდვილეში, მათი რეალური რეიტინგი 15%-ს არ აღემატება, — მიმტკიცებენ საარჩევნო საქმის გამოცდილი სპეციალისტები და იქვე იმასაც დეტალურად მიხსნიან, როგორ და და ხერხებით შეიძლებოდა, „ნაცმოძრაობას“ 27% მიეღო.

15 პროცენტია თუ 27, ორივე ძალიან ბევრია და ამდენი ქართველი ნამდვილად არ მემეტება იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობამ“ ასულელოს და აბითუროს.

რა აზრი აქვს, ვუსაყვედურო ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეს, რომელიც არაინფორმირებულობის გამო, უკრიტიკოდ იღებს ყველაფერს, რასაც „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტული მანქანა აწვდის, მაგრამ რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც არც განათლება აკლიათ, არც გამოცდილება, არც გონიერება და გამჭრიახობა, თუმცა ეს ხელს არ უშლით სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ ემსახურონ.

მათ შესანიშნავად იციან, რას წარმოადგენს და ვინ არის სააკაშვილი, მათ შესანიშნავად იციან, რა შემზარავი დანაშაულები აქვს ჩადენილი „ნაცმოძრაობას“, მაგრამ მაინც არ ეთაკილებათ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ ყურმოჭრილი მონები იყვნენ.

ამაზრზენი ფარისევლობა და თვალთმაქცობაა ეს, ხოლო ადამიანები, ვინც ამას აკეთებენ, უდიდეს შეურაცხყოფას აყენებენ ქართველ ხალხს, თვლიან რა მას გონებაჩლუნგ, გონებასუსტ მასად, უკაცრავად გამოთქმაზე და, ნახირად, რომელსაც საითაც გინდა, იქით გარეკავ.

როგორ შეიძლება ამას ეშველოს, როცა მთელი ტელე-მედია, არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი ქსელი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ადამიანების ტვინების გამორეცხვაზე და დაზომბირებაზე მუშაობს და ამის აღსაკვეთად თითქმის არაფერი კეთდება.

რატომ არავინ ინტერესდება, საიდან მოდის ის უზარმაზარი ფული, რაც ამ ორგანიზაციების შესანახად იხარჯება, რომლებიც ღიად და დაუფარავად ეწევიან ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას.

რატომ არავინ კითხულობს, რა მიზანს ისახავს ეს გლობალური შეტევა საქართველოზე, რომელიც 30 წლის წინათ დაიწყო და დღემდე გრძელდება.

იქნებ, მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ძალაუფლებისთვის ბრძოლა არ არის ამ უწყვეტი შტურმის მთავარი მიზეზი და იქნებ, ამ ბრძოლას გაცილებით სახიფათო და საგანგაშო მოტივი უდევს სარჩულად, მოტივი, რომელსაც ქართული სახელმწიფოს დაშლა და დემონტაჟი ჰქვია, რაც მხოლოდ რუსეთის კი არა, ყველა ჩვენი მეზობლის სანუკვარი ოცნებაა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ აღმოჩნდა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ქართული სახელმწიფოს ხარჯზე, მისი ინტერესების უგულებელყოფით, ყველაზე ხელგაშლილი იყო მეზობლების მიმართ.

„ნაცმოძრაობის“ დროს საქართველო გავდა აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ნივთს, რომელიც იყიდებოდა ყველაზე, ვინც ფულს გადაიხდიდა.

ქართული სახელმწიფო ინტერესების გაყიდვიდან მიღებული მილიარდებით ხომ არ ფინანსდება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ეს ომი, სადაც ქართველთა ერთი ნაწილი მტრის მიერ დაქირავებულ ჯარისკაცებს ჰგვანან და საკუთარ სამშობლოს დამპყრობლებივით ექცევიან.

იქნებ, ღირდეს ამაზე დაფიქრება, სანამ მიშა! მიშა!-ს სკანდირებას დაიწყებდეთ, „ნაცმოძრაობის“ ფანებო.

სემუელ ბეკეტს აქვს ერთი ასეთი პიესა „გოდოს მოლოდინში“.

მთელი პიესის განმავლობაში გოდოს ელოდებიან, ის კი არა და არ მოდის.

ასე, გოდოს მოლოდინში მთავრდება ბეკეტის პიესა.

ნაციონალებიც ელოდებიან თავიანთ გოდოს, მიშას, ის კი არა და არ ჩანს.

ისე დამთავრდება ეს „ნაციონალური“ სპექტაკლი, ისე ჩამოჰკრავს საფინალო ზარი და ისე დაიხურება ფარდა, არ გამოჩნდება ნაციონალების გოდო — მიშა, ისინი კი მაინც დაელოდებიან, დაელოდებიან მთელი ცხოვრება, რადგან სენი, რომელიც ამ ადამიანებს შეჰყარეს, არ იკურნება.

დაელოდებიან და ელოდონ — დალოდების უფლება ყველას აქვს...

ვახტანგ ხარჩილავა

# ხურუშიანების დოლი

ე.წ. ოპოზიცია გაფარჩაკდა, გამატრაბაზდა, ისედაც გათახსირებული უფრო გათახსირდა და დაიშალა. წინა კვირას გამოშტერებული „ნაცების“ გარდა ყველამ პარლამენტში დურთა თავი. რამდენიმე კი დარჩა გარეთ, ვითომ გმირი, მაგრამ საერთო ჯამში, თემურ ალასანიას მაინც ჩაუფლავდა ყველა რევოლუციური პროექტი. აქეთ გუბაზ სანიკიძე შესტირის აქუს, ლამის ყველა შევიდა პარლამენტში, მე კიდევ დავრჩი გარეთო... თან ნიკანორ მელიას მოუწოდებს: მე პარლამენტში არ შევდივარ, შენ კი ციხიდან არ უნდა გამოხვიდეო!

ეს რომ პარლამენტში შევიდეს და ის კიდევ ციხიდან გამოვიდეს, ვითომ რამე შეიცვლება? ვითომ დედამიწა შეტოკდება? ჩემი ღრმა რწმენით, არც არაფერი შეიცვლება და არც დედამიწა შეტოკდება. ამათი მიკვირს, ამ აფერისტებისა, სიცოცხლეშივე გმირობაზე რომ აქვთ პრეტენზია... მე არ შევდივარ, შენ არ გამოხვიდე და ხელისუფლებას დავამხობთო. გმირები კი არა, უბრალო ხურუშიანები არიან, ფულისმოყვარეობით და სკამოსნური დაავადებით შეპყრობილნი.

გუბაზი უფრო შორს მიდის, უფრო



მეტად ხურუშიანობს, ანუ ვნებათაღელვობს, საქართველოში ერთი კაციც ვერ ვნახე, რამეს რომ გავაგებინებო, გავა ხოლმე დრო და მერე იძახიან, მართალი ყოფილა, კაცო, გუბაზიო. ჰმ... იმ დღესა ვნატრობ, ჩემი ნათქვამი რომ არ გამართლდესო. აჰა, ხომ გაყიდა დანარჩენმა ოპოზიციამ „ნაციონალური მოძრაობაო“? დიახაც, გაყიდაო! თანაც გაწირა მარგინალიზაციისთვის და რეპრესიებისთვისო, ეს უბრალო გაყიდვა არ არიო. გუბაზი რომ „ნაცმოძრაობისთვის“ ბალანს იწიწკნის, ეგ მე სასაცილოდ არ მყოფნის. მახსოვს, რა დღეში იყო მაშინ, როცა ახლანდელ კუმირ მიხა სააკაშვილს ებრძოდა. ეხლა კი მაგის მზესა ფიცულობს და დიდ პოლიტიკოსად მოიხსენიებს. ვაი, ამის პატრონს!

აქეთ თაკო ჩარკვიანი მოსთქვამს, ჩემი და გიორგი ვაშაძის პოლიტიკური გზები ძალაუნებურად გაიყო, მე ის პრემიერ-მინისტრად წარვადგინე, მისი პრემიერობა მინდოდა, ამან კიდევ ელისაშვილის გვერდით ჯდომა ამჯობინაო... ეჰ, ჩემი გიორგიც მოღალატე ყოფილაო.

ნეტა ჯუნიორა ვაშაძე ელისაშვილის გვერდით იჯდება თუ შალიკო ნათელაშვილის გვერდით, რა სხვაობაა, რა შეიცვლება, რა მნიშვნელობა აქვს? არც არაფერი!

ამათი არ მიკვირს, კაცო, ამათ რა ნაგავიც უყრიათ თავებში, ვიცით, მე პირადად ევროპიელი პოლიტიკოსებისა მიკვირს, ხან ისეთ რაღაცას იტყვიან ხოლმე, მუცელი ხელით მიჭირავს. აგერ, ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი აცხადებს, სალომე სამადაშვილმა შარლმ მიშელის მიერ მომზადებულ დოკუმენტს ხელი რომ მოაწერა, ამით საქართველოს ევროატლანტიკური კურსი გადაარჩინაო. ეს ძაან მაგარი „სატოპკეა“, ვერ გავატარებ, ერთი ამბავი უნდა გავიხსენო: ის პერიოდია, თბილისიდან აფგან მუხთარლი რომ გაიტაცეს თავის მშობლიურ აზერბაიჯანში და ჩვენმა ე.წ. უფლებადამცველებმა ტელევიზორში გნიასი რომ ატეხეს. ამ თემას ე.წ. ლიბერალებმა და ე.წ. ჟურნალისტებმა მრავალი გადაცემა მიუძღვნეს, კაი ფულიც აკეთეს, მაგრამ მე ერთ გადაცემაზე მოგახსენებთ... ინგა გრიგოლიას „რეაქციიდან“ დამირეკეს, იქნებ სტუდიაში მობრძანდეთ და თქვენი პოზიცია დააფიქსიროთო? ეხლა ეგრე ეუბნებიან ხოლმე, მოდით, ვისაუბროთ, საკითხზე ვიმსჯელოთო, მოდაში აღარ არი. მივედი, თავბედი ვიწყევლე, გამოვიდა ყოფილი სახალხო დამცველი, ლომჯარიას წინ კაცი რომ იყო, გვარიც აღარ მახსოვს... გამოვიდნენ არასამთავრობოები, ვიღაც მოჟურნალისტო ელემენტები და ამტკიცებენ, საქართველო აღარ არსებობსო, მორჩაო, დამთავრდაო, ყველა ინსტიტუტი ჩამოიშალაო. კაცო, ვზივარ და ვფიქრობ, ან ესენი გაგიჟდნენ, ან მე ვერ აღვიქვამ, რაზე ლაპარაკობენ, იქნებ ისეთი ფილოსოფიაა, არ მესმის? არა, ვუსმენ და აშკარად ვერ არიან, დიდი ფული აქვთ აღებული და მიერეკებიან, მეც აღარ დავუხვალიე, ჩემი ქვეყანა აფგან მუხთარლის მხრებზე თუ იდგა, არ ვიცოდი-მეთქი. გრიგოლიამ სტუდიაში მსხდომთ ჩასისხლიანებული თვალებით გადახედა და დასძინა, სამწუხაროდო... აი, სამწუხაროდო, ასეთი პოზიციაც არსებობსო. ვიღაც მალაქია ქიბროწაშვილი წამოხტა, ბატონო გელა, თქვენ ფიურერივით მსჯელობთო, პირწავარდნილი ფაშისტი ხართო. მერე მითხრეს, შესვენების დროს (სარეკლამო ჭრას რომ ეძახიან) დერეფანში პიდარასტიც უწოდებია ჩემთვის. ნუ, ახლა, შეიძლება ყველაფერი დამაბრალონ, ფიურერობაც, ფაშისტობაც, იოსება (სტალინის) პაპას ადიუტანტობაც, მაგრამ პიდარასტობა? საამისოდ არც ფიზიონომია მიწყობს ხელს, არც მონაცემები მაქვს, არც სურვილი, არც კაცური ჰორმონების ნაკლებობას განვიცდი და საერთოდ,



ძალიან უხეში ვარ, ამათი კეთილები რომ მოვსტ...ან (ბოდიში თქვენთან)!

ჰოდა, ამსიგრძე ამბავი რაზე მოგიყევით? იმაზე, რომ მადამ ფონ კრამონს თუ ჰგონია, საქართველო სალომე სამადაშვილის მხრებზე დგას, ძალიან ცდება!

ასევე ცდება და ბრიყვულ განცხადებებს აკეთებს კაიხნის წინ გაცეტებული და ახლა ნამეტნავად გაცელქებული შალო ნათელაშვილი. ამის დავთრების მიხედვით, ბიძინა ივანიშვილმა იყიდა საფრანგეთის და ევროკავშირის პრეზიდენტები, ასევე... ევროკავშირის, გერმანიის და აშშ-ის ელჩები. ერთმა კი დაწერა სოციალურ ქსელებში, მაგრამ მეც უნდა გავიმეორო: შალო, თუ მთელი მსოფლიოს დიპლომატია ბიძინა ივანიშვილმა იყიდა, შენ და გუგავამ რაღა ფეხები უნდა მოსჭამოთ?!



მეტიც, შალოს უკვე იმდენზე გაეხსნა ტვინი, ყოველ საღამოს დაწანწალებს სტუდიიდან სტუდიაში და ამტკიცებს, დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიას ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა მისი სიძის და რუსეთის მეშვეობითო. დავუშვათ, ტრამპი დააფინანსა ივანიშვილმა (ან კი რაში სჭირდებოდა თვით მილიარდერ დონალდს ბიძინას ფული?), ახლა რას აკეთებს მძინარე ჯო, აშუშუს ახალი პრეზიდენტი, რატომ არ დაგვსჯის, რატომ არ დაგვიწესებს სანქციებს? საქმე ის არის, რომ ეს უკრაინელ მიხოს მოგონილი ზღაპრებია და შალოც იმეორებს, ჰგონია, იმან ძაან ჭკვიანური რამე-რუმეები მოიგონა. ახლა რომ ვთქვა, ღმერთო, ყველა თავის ჭკუაზე დააყენე-მეთქი, ჩემი მხრიდან უსამართლო საქციელი იქნება, რადგან ისედაც ყველა თავის ჭკუაზეა... აბა, ერთი ამიხსენით, იგივე შალიკოები, ვალიკოები, აკუები, წაკუები თუ კიკუები რატომ უნდა ლაპარაკობდნენ უფრო ჭკვიანურად?

ჰო, ისევ გამექცა სიტყვა...



ვიმეორებ, რათა კრამონებმა და სხვა ევროებმა თუ სენატორ-კონგრესმენებმა კარგად გაიგონონ, თუ არ გაიგონებენ, ჩვენ მაინც გვეცოდინება: იცით, რას გეტყვით? ღმერთმა დაიფაროს, ჩვენი სახელოვანი ქვეყანა ქარაქუცა სამადაშვილისა და „კაკებეშნიკ“ ვაშაძის მხრებზე იდგეს. თავი დავანებოთ პიროვნებებს, საქართველო დგას თავის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, თავის ისტორიასა და კულტურაზე. მადამ კრამონ, როგორც ჩემი მრჩევლები მატყობინებენ, ჩვენში საქართველოს ევროატლანტიკური კურსი მეგი გოცირიძის განიერმა საჯდომმა და ბადრი შუბლაძის სახინკლე ცომივით გაბრტყელებულმა შუბლმა გადაარჩინა... გია ბარამიძის კრეტინულმა გამოხედვამ და გიგა ბოკერიას ელამბრუცობამ კიდევ. ეხლა არ მითხრათ, ნაკლზე ნუ მიუთითებო... მივუთითებ და მეტსაც ვიზამ, როცა საქმე ქვეყანას, მამულს, სამშობლოს და სახელმწიფოს ეხება. აეგრე!!!



დამალვას აღარ აქვს აზრი... ეს ჯუნიორა ვაშაძეც კაი ჭუნჭულიკა ყოფილა, გავაგასქელებული ზის გავაგასქელებულის გადაცემაში და ჭორიკნობს:

„ამნისტიაზე დავხოცეთ ერთმანეთი, კინაღამ გალსტუკი მოვახიე თალაკვაძეს რაღაც საკითხებზე, მაგრამ ყველაფერს ხომ არ მოვყვები? ძალიან მძიმე შეხვედრა იყო. 6 თვის ნერვების წყვეტის ფასად არის მოპოვებული შეთანხმების დოკუმენტი, კინაღამ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადავედით თალაკვაძესთან. სხვებიც დაადასტურებენ, თუ არ გჯერათ“.

ამ დებილმა არ იცის, რომ „გალსტუკი“ რუსულია? არ იცის, რომ ჰალსტუხი უნდა თქვას და საერთოდ, ქართულად რომ ყელინჯი ჰქვია? მეტიც, მან არ იცის, რომ მიხა სააკაშვილის არეალში „გალსტუკი“ არ უნდა ახსენოს? ვითომც დიდი მონაპოვარია ე.წ. დოკუმენტი, რაზეც ხელი მოაწერეს, ვითომ



ზოგადსაკაცობრიოა, ვითომ ისტორიულია, რომელმაც ჩვენი მომავალი უნდა განსაზღვროს. სინამდვილეში არაფერია, დემოკრატობანას თამაშია, მეტი საქმე რომ არა აქვთ და ერთ ადგილს იფხანენ, ეგ არი. რა მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ელენე ხოშტარია პარლამენტის შენობაში დაუსტვენს თუ ქუჩაში? მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს, საკანონმდებლო ორგანოს ღობეს შეახტება თუ ნაგვის მანქანას? რა დემოკრატია, რაის პლურალიზმი? ქალი რუსეთში იჯდა, მგიმო დაამთავრა, კაგებეს უმაღლესი სასწავლებელი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამ ინსტიტუტდამთავრებულებს საერთოდ აუკრძალეს მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებში, ეგენი რუსეთის ოფიციალური ჯაშუშები არიან, რას ეხვეწებით, რას ექაჩებით, გინდათ თუ არა, შემოეთრიეთო?



ეს არი დემოკრატია? არა, ეს ხურუშიანების დოღია, ჩემმა მზემ!

ხოშტარიამ ვითომ იქალა თუ იკაცა, ვერ გაიგებ, რომელს აწვება, პარლამენტის წევრის მანდატზე უარი თქვა, ეგ მანდატი პარტიული სიით მოვიპოვე, პარტიიდან გავედი და აღარ მეკუთვნისო. როგორ გითხრათ, სადღაც სიმართლეს ამბობს, მაგრამ მაგას რაღაც მაკვარანცხული აქვს ჩაფიქრებული, მანდატზე უარს არ იტყოდა, დამიჯერეთ, ეგრეა, ვიცი, კარგად ვიცნობ მაგათ ჯიშსა და ჯილაგს!

ამ წერილს ისე ვერ დავამთავრებ, ნიკანორ მელია თუ არ ვახსენე, მაინც პატიმარია, ეგ ჩემისა!

თურმე (როგორც მოქალაქე ლაშა პატარკაციშვილი წერს სოციალურ ქსელში) ნიკუშა მელიას ყველაფერი აქვს კამერაში, ინტერნეტიდან დაწყებული, ჟურნალისტების შესვლით დამთავრებული... სადილი, პირველი, მეორე, მესამე და დესერტიც ზევიდან. თან თურმე „მესერიც“ გაუხსნეს,



ჰაერი კარგად რომ ისუნქოს. არ ვიცი, შეიძლება სანამ ეს წერილი დაიბეჭდება, მელია წიხლისკვრით გამოაგდონ გარეთ, მაგრამ ამიხსენით, რა მნიშვნელობა აქვს, ეს უინტელექტო მასა სახლში იჯდება, კამერაში, ოფისში თუ ქუჩაში? მითხარით, ამით რამე იცვლება? დედამიწა უკუღმა იწყებს ტრიალს? ევროკავშირის „ნაჩალნიკობამ“, ჩვენ გადავიხდით მაგის გირაოსო. რათა, რათ უნდა გადაუხადონ, ვინ მიგდია? აკი დემოკრატია უპირველესად ადამიანთა თანასწორობა არისო? ეხლა რა გამოდის? ავაზაკ მელიას, რომელმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, რომელიც მთელი ქვეყნის თავზე დამხობას ცდილობდა, ყველაფერი უნდა ვაპატიოთ და გირაოც გადავუხადოთ? მაშინ, ამიხსენით, რა დააშავეს რიგითმა დამნაშავეებმა, რომელთა დანაშაულიც



მელიას დანაშაულთან შედარებით სასაცილოა? ხომ არის იმ რიგითი დამნაშავეების თვალში და არა მხოლოდ მათ თვალში ეს სახელმწიფო სასაცილო? თუმცა მარტო ეს სახელმწიფო? მთელი ევროპა და დუნია, ხალხო!

ესე იგი, უყურეთ, ჩამოვიდნენ ევროპიელი პოლიტიკოსები, დიპლომატები და გვეუბნებიან, ვინმე მელიამ დანაშაული რომ ჩაიდინა, უნდა აპატიოთ, ციხიდან გამოუშვათ, გირაოს ფულს ჩვენ გადავუხდით, ვიცით, რომ გიჭირთო. ვიმეორებ: მელია ციხეში ეგდება თუ გარეთ, ამით რა შეიცვლება, წელს კახეთში სეტყვა აღარ იქნება? 40 ათას ლარს მაგ ყვერიფხანიას რომ უხდით, არ სჯობდა, მესეტყვეებისთვის პრემიების სახით დაგერიგებინათ, ეგებ უფრო კარგად დაემიზნებინათ, ეგებ ღრუბლები უკეთესად გაეფანტათ?!

გიორგი (ჯუნიორ) ვაშაძე ტირის, ირაკლი ოქრუაშვილმა „ფეისბუქში“ ჩემი ტიტველი ფოტო გამოფინაო, რომელიც სუსმა ამოაგდო ვაიბერის ჩა-



ნაწერით. ეს რა პოლიტიკააო, გამაგებინეთო, ტიტველი ფოტო გამომიფინა კაცმა, უბრალოდ ზნეობა ხომ არსებობსო? ერთ რამეში ვეთანხმები ჯუნიორს, ზნეობა მართლაც არსებობს ამ დუნიაზე, მაგრამ ოქრუაშვილისთვის, შენთვის და ნებისმიერი ფანჩატურელისთვის — არა! რა უნდა თქვენთან ზნეობას, ბიჭო? სუსმა ამოაგდოო, მიყურებენო, მითვალთვალებენო... გითვალთვალებენ არა, იხვის ტოლმა, როგორც მახსოვს, შენ თვითონ გააბაზრე, „ფეისბუქში“ დადე და მერე აღარ მოგეწონა, გოიმად რომ გამოგაცხადეს.

ჰმ... ზნეობაო, მორალიო, ლპარაკობენ უზნეოები, რაც ამათ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ჩაიდინეს, რამდენ ადამიანსაც ცილი დასწამეს და მოღალატედ გამოაცხადეს, სად აქვთ უფლე-



ბა, საერთოდ ზნეობასა და ეგეთ ღირებულებებზე ილაპარაკონ? ეს ნაძირლები ბიძინა ივანიშვილის სიძულვილით შეიკრიბნენ, მაგრამ ერთმანეთის დანახვაზე მაინც გული ერევათ, როგორც კი კოვზი ნაცარში უვარდებათ, ეგრევე ერთმანეთს უსწორდებიან.

აგერ, ერთი როა, ვინმე დავით ჭიჭინაძე, „ქართული ოცნების“ დეპუტატი იყო წინა მოწვევის პარლამენტში, დადის სტუდიიდან სტუდიაში გრიგოლიებთან, გვარამიებთან, იმანოებთან, ამანოებთან და მორალზე ქადაგებს. ესე იგი, ტიპი „ოცნებაში“ იყო, იმდენი იძრომიალა, იმდენი იჭორავა, გარეთ იმდენი რაღაცები გამოიტანა, ჰკრეს პანჩური და გამოაგდეს, ეხლა დგას და კითხულობს, სად არი, ხალხო, მორალიო?

ჰა, ჰა, ჰა!

რა უნდა, თქვენთან მორალს, თქვე ფულისა და ძალაუფლების ხურუშიანებო?

არ გადამრიოთ, რააა!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# მოდელირებული დემოკრატია, სპეცამნისტია მელიასთვის და ყველის ნაჭერი სათაგურში

ნიკანორ მელიას პოლიტიკოსი კი არა, სადაც სამართალია, აბრაგი უნდა ერქვას.

— ტყიდან არ გამოვალ, თუ ამა და ამ მოთხოვნას არ შემისრულებთო, — ევაჭრებოდა აბრაგი ხელისუფლებას და, ხშირ შემთხვევაში, მიზანს აღწევდა კიდევაც — ულრან ტყეში უგზო-უკვლოდ მოწოწიალე აბრაგის დევნის ნაცვლად ხელისუფლებას ერჩია, რაღაც დათმობებზე წასულიყო და აბრაგი როგორმე ტყიდან გამოეტყუებინა.

ერთი განსხვავება მაინც არის ტყეში მოშლიგინე აბრაგსა და თბილისის ქუჩებში მოთარეშე პოლიტიკოს ნიკანორს შორის — აბრაგი თუ ტყეში იყო გამაგრებული, ნიკანორი ციხეშია გამაგრებული — ზის არხეინად რკინის კარით და გისოსებით შეჯავშნულ მყუდრო საკანში, კართან დაცვა უყენია, საჭმელ-სასმელი არ აკლია, წყალი უფასო, დენი უფასო, გათბობა უფასო, ზის მორჭმით და მთელ ქვეყანას ეკაიფება — გირაოს არ გადავიხდი, ამნისტიაზე თანახმა არ ვარ, ევროკავშირის თავდებობით



არ გამოვალ და როგორც გინდათ, ისე გამომიყვანეთ აქედანო.

— სხვა მექანიზმი არ არსებობს, პატივცემულო და როგორ უნდა გაგათავისუფლოთ, თქვენთვის ახალ კანონს ხომ არ დავწერთ, რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთო, — წუხან ევროპარლამენტში, წუხან აშშ-ის კონგრესში, ჩვენი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოების ადმინისტრაციებში და საელჩოებში!

ლამის არის, ნახევარი პლანეტა ნიკანორის ციხიდან დახსნის და გათავისუფლების გზებსა და ხერხებს ეძებს და ვერ მოუძებნიათ.

— სანამ ნიკანორი ციხიდან არ გამოვა, ჩვენ პარლამენტში არ შევალთ. ის გამოვა, ჩვენც შევალთ! — პრინციპულ პოზიციაზე დგანან პარლამენტარები, რომლებმაც შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტზე ხელი კი მოაწერეს, მაგრამ პარლამენტში შესვლას მაინც არ ჩქარობენ.

რა ეჩქარებათ — წინ კიდევ ოთხი წელიწადი უდევთ და, როცა იქნება, შევლენ.

მერე რა, რომ ამასობაში ქვეყანა ზარალდება და ზიანდება, თუმცა ამათ ხომ დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ქვეყანა სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ და საკუთარი ეგოისტური მიზნების გარდა არაფერი აინტერესებთ.

მაინც, რა უნდა ამ პატიმრად თვითდასაქმებულ მელიას, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ, როგორმე დაეჭირათ.

რა უნდა მელიას და ის უნდა, რომ საკუთარი პერსონა კანონზე ზევით მდგომ, სახელმწიფოზე მაღლა მდგომ მოქალაქედ აღიარონ, რომლისთვისაც ცალკე, ექსკლუზიურად დაიწერება სპეცკანონები, რომლითაც ის ხელშეუხებელი პერსონა გახდება.

სპეცკანონის მიხედვით, მელიას უფლება უნდა მიეცეს, უხელმძღვანელოს შტურმს პარლამენტზე, ნებისმიერ სხვა სახელმწიფო ორგანოზე, მოუწოდოს მოქალაქეებს, ძალისმიერი მეთოდებით შეიჭრან შენობებში და ამისთვის პასუხის მოთხოვნა ვერავინ გაუბედოს.

მელიასთვის სპეციალურად უნდა დაიწეროს სპეცკანონი, არ გადაიხადოს გირაო, არ შეასრულოს სასამართლოს განჩინება, თვითნებურად მოიხსნას ელექტრო-სამაჯური, დემონსტრაციულად მოისროლოს და ხმამაღლა განაცხადოს: ვერ დამიჭერთ! და ამისთვის არანაირი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.

თუ მაინც დაიჭერენ და ციხეში ჩასვამენ, სასწრაფოდ გამოიცეს მორიგი სპეცკანონი — დამნაშავე მელია უდანაშაულოდ იქნას ცნობილი და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პერსონალურად მისთვის დაწერილი სპეცამნისტიით.

გათავისუფლებული მელიას სახლის ფასადზე გამოიკრას სპეც-დაფა წარწერით: „აქ ცხოვრობს ნიკანორ მელია, რომლის დევიზია: „ჩემი სახელმწიფოს და მისი კანონების თავზეც გავიარე!"

მელიასთვის გამოიცეს აგრეთვე სპეც-კანონი, რომლის მიხედვითაც მას სიცოცხლის ბოლომდე უფლება ეძლევა, რაც მოეხუშტურება, ის აკეთოს — მოსპოს, გაანადგუროს, მოაწყოს რევოლუციები, დაამხოს ხელისუფლებები და ამისთვის ზედმეტი სიტყვის თქმა ვერავინ გაუბედოს.

მეტი გარანტიისთვის ამ კანონს ხელი უნდა მოაწეროს შარლ მიშელმა, კელი დეგნანმა, კარლ ჰარცელმა, ქრისტიან დანიელსონმა, ვიოლა ფონ კრამოლმა, სხვებმა და სხვებმა.

ამასთან ერთად, ნიკანორის მამა, ბატონი ანზორი დაჯილდოვდეს სპეციალური მედლით „გმირი შვილის გამზრდელი".

ამ კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემდეგ დავითხოვოთ მთავრობა, დავითხოვოთ პარლამენტი, მოვახდინოთ სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი, დავშალოთ ქართული სახელმწიფო და მის ნანგრევებზე დავაწეროთ: „აქ იყო ქართული სახელმწიფო, რომელიც ნიკანორ მელიას შეეწირა".

— ხუმრობთ, ბატონო, თქვენ?! — ეჭვიანად იკითხავს, ალბათ, მკითხველი.

— კი, ვხუმრობთ, მაგრამ ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, სადაც ნახევარი მაინც სიმართლე არ იქნება.

განა ნიკანორ მელიასთან დაკავშირებული ამბები, ექვს თვეზე გაწელილი მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, პარლამენტში შესვლაზე უარის თქმა და ბოიკოტი ქართული სახელმწიფოს დასუსტებას და დაძაბუნებას არ ემსახურება?

ამ დასკვნის შემდეგ ლოგიკურად აუხსნელია ჩვენი პარნტიორების თავდაუზოგავი შრომა, დროის და ენერგიის ხარჯვა იმაზე, რომ პარტიები, რომლებიც რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, პარლამენტში შეიყვანონ.

ეს რომ არ მოხდეს, პარლამენტი ერთპარტიული იქნება, რაც დემოკრატიის წმინდათაწმინდა პრინციპებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ამიტომ ნებისმიერ ფასად როგორმე უნდა შევიყვანოთ პარლამენტში ეს პარტიები და ამით შევქმნათ მოჩვენებითი, ფასადური დემოკრატიის სურათი?

კი, მაგრამ, ვის სჭირდება მოდელირებული დემოკრატია, რა სარგებლობას მოუტანს ეს ქვეყანას და მის განვითარებას?

დემოკრატიული მსოფლიო, ევროპა-აშშ-იანად, რუსეთისთვის ფრთების შეკვეცაზე და მისი ამბიციების მოთოკვაზე მუშაობს და ამ დროს იგივე ევროპარლამენტი და აშშ ამაზე ჩალიჩობს, ეს პრორუსული ორიენტაციის პარტიები როგორმე პარლამენტში შეათრიონ ძალისძალად?

პარლამენტში შესული ეს პარტიები სხვანაირები გახდებიან, ზნესა



და ხასიათს შეიცვლიან და იგივეს არ გააკეთებენ, რასაც აქამდე აკეთებდნენ?

დასავლეთმა ვერ დაიცვა საქართველო 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიისგან. დასავლეთი ვერც ახლა ახერხებს დაგვიცვას რუსული სცენარით მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისგან, რომელიც შეიძლება დამანგრეველი ხასიათის აღმოჩნდეს საქართველოსთვის.

მოდელირებული, ფასადური დემოკრატია არ არის ის ბარიერი, რომელიც შეაკავებს ამ სახიფათო აგრესიის ნიაღვარს.

დასავლეთმა ბევრი შეცდომა დაუშვა საქართველოსთან მიმართებაში და ახლა ამ შეცდომების ზღვევის დრო დადგა.

დასავლეთმა შექმნა სააკაშვილი, ეს ახალი ტიპის პოლიტიკური ურჩხული, იმაზე კი არ დაფიქრდა, რომ მასალა, რომლისგანაც ამ მახინას აკოწიწებდა, რუსული წარმოების იყო.

ახლა ეს ურჩხული მის შემქმნელს შემოუტრიალდა და ბოლომდე გაამჟღავნა თავისი ანატომია, თუმცა მის მშვიდობანად გასანეიტრალებლად დასავლეთს უკვე ძალა აღარ ჰყოფნის.

სხვათა შორის, პირველად არ ხდება ასე, როცა დასავლეთს მის მიერვე შექმნილი ურჩხულები უპირისპირდებიან და სერიოზულ პრობლემებს უქმნიან.

არსებობს ასეთი გამოთქმაც: ფერად რევოლუციებს დასავლეთი აწყობს, ხელისუფლებაში კი რუსები მოდიან.

ასე მოხდა „ვარდების რევოლუციის" შემთხვევაშიც — სააკაშვილს მარჯვენა რუსმა „რეფერმა" ივანოვმა აუწია გამარჯვების ნიშნად, ხოლო „პროდასავლური ორიენტაციის" სააკაშვილის ყველა ქმედება მთელი ცხრა წლის განმავლობაში რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ვნახოთ, რა გამოვა დასავლეთის მცდელობიდან, პარლამენტში შეიტყუოს „ნაცმოძრაობა" და იქ ჩაკეტოს მოსათვინიერებლად.

თუმცა, ეს რომ მოხდეს, ჯერ მელია უნდა გამოუშვან გალიიდან.

მელიას ახლა სატყუარას როლი აკისრია.

მისი გამოშვება იმ ყველის ნაჭრის ფუნქციას ასრულებს, რომელიც სათაგურში დევს წუწკი თაგვების და ვირთხების სათაგურში შესატყუებლად.

ვფიქრობთ, არც მელიას ციხიდან გამოსვლით და არც პარლამენტში ოპოზიციის შესვლით არაფერი მთავრდება.

უფრო მეტიც, შეიძლება ეს კიდევ უფრო დიდი კონფრონტაციის დასაწყისი გახდეს.

დასავლეთსა და რუსეთს შორის გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის პიკს უახლოვდება.

**ვახტანგ ხარჩილავა**

---

**მინაწერი: კვირას „მთავარ აქცენტებში" „ნაცმოძრაობის" და ოპოზიციის ოთხი ჯიბის ტელევიზიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და ერთხმად აღავლინეს ხოტბა-დიდება ნიკა მელიასადმი.**

**როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველას ინგა გრიგოლიამ გადააყვირა და ნიკანორს ამაღელვებელი სიტყვით მიმართა:**

**— ჩემო ნიკა, მნიშვნელობა არა აქვს, რა ფორმით გამოხვალ შენ ციხიდან. მინდა იცოდე, რომ, რაც ახლა ხდება ქართულ პოლიტიკაში, ყველაფერი შენი დამსახურებაა. შენი დამსახურებაა ეს ხუთპუნქტიანი შეთანხმება რომ შედგა, შენი დამსახურებაა ეს 43%, შენი დამსახურებაა შარლ მიშელი. ასე რომ, თავაწეული გამოდი ციხიდან, — ამ შინაარსის სიტყვებით მიმართა ქ-ნმა ინგამ ძმას და მეგობარს, ნიკას.**

**ქ-ნ ინგას დაავიწყდა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი დამსახურებების გარდა, ნიკანორს კიდევ სხვა დამსახურებებიც აქვს.**

**ასე მაგალითად, ნიკანორის დამსახურებაა, რომ 19–20 ივნისის სისხლიანი დაპირისპირება შედგა. სწორედ მან მოახდინა ამ დაპირისპირების პროვოცირება, რის შედეგადაც ადამიანები დაზარალდნენ. მისი დამსახურებაა, რომ პარლამენტზე სამჯერ მიიტანეს იერიში მომიტინგეებმა, რის შემდეგაც სამართალდამცავი სტრუქტურები იძულებულნი გახდნენ, სათანადო ზომები მიეღოთ იერიშის შესაკავებლად.**

**ნიკანორის დამსახურებაა, ამ დაპირისპირების დროს მაკო გომურმა თვალი რომ დაკარგა, ხოლო შტურმის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა სხვადასხვა დაზიანებები რომ მიიღეს.**

**აი, ამ „დამსახურების" კაცს ეკუთვნის სპეცამნისტია, აბა, რა!**







# „ქართული ოცნება“ დაიშლება თუ გაიშლება, ეს არაა მთავარი. მთავარია, ბიძინა ივანიშვილი იყოს საქართველოში, რადგან, სანამ ის იქნება აქ, ომის და სისხლისღვრის საშიშროება არ არსებობს

„ქართული ოცნებიდან“ ნელნელა მიდიან 2012 წლის მერე შეკრებილი პოლიტიკური სუბიექტები.

ადგილი თავისუფლდება.

ამაზე ერთი გამონათქვამი მახსენდება: «**Святое место пусто не бывает**».

ამ ნიადაგზე აუცილებლად შეიკვრება ახალი პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც, სავარაუდოდ, გიორგი გახარია ჩაუდგება სათავეში. რამდენად მონოლითური, იდეურად მტკიცე და საერთო პრინციპებით იქნება ეს პარტია გამაგრებული, ეს სხვა საკითხია და ამას პარტიის წარდგენისას დავინახავთ, მანამდე კი მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება ვიმსჯელოთ.

ერთი რაიმეს თქმა კი აქედანვე შეიძლება: გიორგი გახარიას, რომელსაც სოციოლოგიური კვლევების შედეგად საზოგადოებაში მყარი რეიტინგი აქვს, შეუძლია შექმნას პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ნამდვილად იქნება „ქართული ოცნების“ და „ნაცმოძრაობის“ საპირწონე.

თუ იმაზე შემთანხმდებით, რომ პოლიტიკა, ზოგადად, ნერვების, გონების და გამჭრიახობის ომია, მიმდინარე ბრძოლაში ვინ გაიმარჯვებს, სწორედ იმ თვისებების დამსახურება იქნება, რაც ჩამოვთვალე და არა იდეისა და სულისკვეთების, რომელთა დრო, ჩემი აზრით, სპარტაკის, ტარას ბულბას, ჯუზეპე გარიბალდის და მათნაირების პერიოდთან ერთად მოკვდა და გაქრა...

იდეას ვინღა ჩივის, სინდისი და ნამუსი, კაცობა და მსგავსი ადამიანური თვისებები საერთოდ არის გამქრალი, მაგალითად, საქართველოს პოლიტიკურ ოპოზიციაში.

ე, მანდ ხდება თუ ხდება, როგორც იტყვიან, „ძაღლი პატრონს ვერ ცნობს“ და „დედა შვილს ხელში არ აიყვანს“.

ჩვენ ხომ დაგვაგლიჯეს ნერვები, მაგრამ იმ ე.წ. ფასილიტატორებს, თურმე, ამათი საქციელებიდან გამომდინარე, თვალები შუბლზე ესხათ — ხან ვინ მიდიოდა ერთმანეთის დასაბეზღებლად და ხან — ვინო და იყვნენ ხან შარლ მიშელის, ხან — კრისტიან დანიელსონის, ხან — ქალბატონი დეგნანის კარებთან ბეღურებივით მხრებჩამოყრილი — მიგვიღონ, პატარა სალაპარაკო გვაქვსო. ეს „პატარა სალაპარაკო“ თხოვნას უფრო ჰგავდა თურმე: არა, მე ვიქნები ოპოზიციური გაერთიანების უფროსი და არა — მეო.

გიგა ბოკერიას, შალვა ნათელაშვილს, ნინო ბურჯანაძეს და სხვებს, ყველა მათგანს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან მოშორება ჩვენთვის, ხალხისთვის და ჩვენი კეთილდღეობისთვის კი არა, თავიანთი თავის წინ წამოწევისთვის, ჯერ ოპოზიციის, მერე ხელისუფლების სათავეში მოქცევისთვის, თითოეულ მათგანს პირველობისთვის უნდოდათ და უნდათ. დააკვირდით მათ მეტყველებას, ქცევებს და მიხვდებით, რომ მხოლოდ ეს იყო და არის მიზანი...



გაიხსენეთ, რას ამბობდა ბატონი ხაზარაძე: მე შევქმნი ძლიერ გუნდს, მე დავაკომპლექტებ ოპოზიციას, ჩვენ მოვალთ მთავრობაშიო.

მთავრობაში მოსვლა კი, რატომღაც, ვერავის წარმოუდგენია ბიძინა ივანიშვილის პერსონის არსებობის შემთხვევაში. ოპოზიციის წარმომადგენლებთან საუბრისას პირდაპირ და გადაკრული საუბრებისას ეს მშვენივრად ჩანს, თუნდაც ქმედებიდან გამომდინარეც.

ერთმა „იდეინი“ ოპოზიციონერმა ჩემთან პირად საუბარში ისიც კი თქვა: შალიკოს ფანჩატურში ოპოზიციონერები გაერთიანებისთვის კი არ იკრიბებოდნენ, არამედ იმისთვის, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა — „ნაცმოძრაობა“ დაეშალათ და გაენადგურებინათ, რომ მერე თვითონ აღმოჩენილიყვნენ წინა პლანზეო.

თავად „ნაცმოძრაობა“ იმდენად „გაფარჩაკებულია“, საიდან, ვინ და რატომ დაუჭირა მხარი იმ 500 000-მა ამომრჩეველმა, თავადაც მიკვირს, ფარულად ვინმე ქვედა რგოლებიდან ხომ არ დაეხმარა ხმების წამატებაში, ამას ვფიქრობ, თორემ ჩვენი მიშას გარეშე ეს პარტია ჯოგია და ქვემძრომების გაერთიანება და ამ პარტიის დიდი ნაწილი, ზუსტად ვიცი, სუსის აგენტები არიანო, — დასძინა ჩემმა მოსაუბრე ოპოზიციონერმა.

რაც შეეხება მიშას, ის და ბიძამისი, თემურ ალასანია, საქართველოს გარეთ იმყოფებიან, თუმცა პრეტენზიები საქართველოზე და საქართველოს ხელისუფლებაში ძალაუფლების პყრობაზე დღემდე დაუოკებელ მიზნად აქვთ დასახული.

ერთ ფარულ ჩანაწერში, რომელიც უკრაინულმა მხარემ ამასწინათ გამოაქვეყნა, თემურ ალასანია ამბობს: „არავითარი ლეგიტიმაცია ამ მთავრობას, სრული ბოიკოტი და დაუმორჩილებლობა, სრული ნაციონალური მასშტაბის სამოქალაქო დაუმორჩილებლობა.

არავითარი დიალოგი, არავითარი კოოპერაცია, არავითარი თანამშრომლობა.

საერთოდ უნდა გაწყდეს ურთიერთობა.

დროებითი მთავრობის შექმნა სასწრაფოდ! უნდა მიმართოთ მსოფლიოს ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ ჩვენ ვთხოვთ მხარდაჭერას.

საქართველოს გადარჩენის კომიტეტმა ხელში აიღოს სრული ძალაუფლება!“

მიხეილ სააკაშვილი: „ახლა არის ის მომენტი, როცა უნდა ვაჩვენოთ, რომ არა ვართ „ფარჩაკები“, არა ვართ მხდალები, შეგვიძლია ბოლომდე წასვლა“...

ეს მოწოდებები ისმოდა და ისმის იმ ფონზე, როცა საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული არჩევნები აღიარეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და უცხოელმა პარტნიორებმა. სააკაშვილი და მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ე.წ. ოპოზიცია კი ხელოვნური პოლიტიკური კრიზისის გაღვივებას ცდილობს უკვე რამდენიმე თვეა.

სააკაშვილის გავლენის ქვეშ მოქცეულები-მეთქი და მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირს, სააკაშვილმა როგორ უნდა მოგაქციოს თავისი გავლენის სფეროში და ორბიტაზე და რის საფასურად უნდა დაუდგე გვერდში ამ დაცენტრილს, მაგრამ დააკვირდით კონტინგენტს — ნიკუტა გვარამია, გია ბარამიძე, გუბაზ სანიკიძე და მისთანანი — თვითონ „ფარჩაკები“...

ნახეთ, კიდევ ერთი ოპოზიციის „კაშკაშა ვარსკვლავი“ კაკო ბობოხიძე რას ამბობს: „პროტესტი უნდა იყოს უწყვეტი. უნდა შევქმნათ აუცილებლად პოლიტიკური კრიზისი და ყველას ვარწმუნებთ, რომ ამას აუცილებლად დაემატება ეკონომიკური კრიზისი და ვისაც უნდა დავენიძლავები, რომ გაზაფხულზე ამ ხელისუფლებას ექნება კრიზისი!..“

დააკვირდით, როგორ მტრულად ლაპარაკობენ ხელისუფლებაზე, როგორ ოცნებობენ რევანშზე და დამხობაზე.

და აქ ჩნდება ყველაზე საინტერესო მომენტი. ყველა, ვინც კი რაიმე პრეტენზიას გამოთქვამს, ილანძღება, ადანაშაულებს, ბრალს სდებს, ებრძვის, მტრად მიიჩნევს არის ერთადერთი ადამიანი და ეს გახლავთ ბიძინა ივანიშვილი.

წეღან რომ „იდეინი“ ოპოზიციონერი ვახსენე, ოპოზიციურ ძალებთან საკმაოდ დაახლოებული, ოპოზიციური აქციების, მოლაპარაკებების აქტიური მონაწილე და კარვებშიც რომ ეძინა, ის კაცი, ე.წ. „გავრილოვის ღამეს“ პარლამენტის შენობაში შეჭრას რომ ლამობდა, ის პერსონა მეუბნება: „ბიძინამ ესენი ყველანი გადაიბირა, არ მიჯერებდნენ მე და აჰა, ბიძინამ დაქინძა ყველა ცალ-ცალკე, როგორც ადრე „თავისუფალი დემოკრატებიო“.

ახლა ბიძინა ზის და ელოდება დროს, როდის დადგება „ნაციონალების“ მიქინძვის მომენტი.

ესენი (ოპოზიციას გულისხმობს — ი.კ.) არიან ბიძინას შნირები.

ყველა პარტიაში შეტენა ბიძინამ მოსყიდულები, ყველა პარტიაში ჩანერგა, ღირსება დააკარგვინა ყველას.

როგორც კი შალვას ფანჩატურში დასხდნენ, შეიძლება იმ დებილმა შალვამ არც იცის, რომ მიყიდულები იყვნენ უკვე.

კაცის გამაუპატიურებლებს რომ ეძახდნენ და ცხვირს რომ ვერ ყოფდნენ გარეთ, მაშინ კი იყვნენ ცუციკებივით და იცით, ვინ ეძახდა კაცის გამაუპატიურებლებს? ისინი, ვინც შალიკოს ფანჩატურში შეიკრიბა.

ამ ოპოზიციას უეჭველი მიჯირყვნის ბიძინა. ელოდება, პარლამენტში შელაგდებიან თუ არა ამ ოპოზიციას იქავე, პარლამენტშივე, მიჯირყვნის.

სად არიან ჩოჩელი და სხვა ბიზნესმენები, ახლა რატომ არ დგანან ოპოზიციის გვერდით? ან გურიის მაჟორიტარი რომ არის ჩიგოგიძე, „ნაცმოძრაობაში“ რომ ეპატიჟებოდით, ჭკუა სად გქონდათ, არ იცოდით, რომ ბიძინა ყველა ვარიანტში გაგაბანძებდათ?“ — მიმართა ბოლოს ოპოზიციის წარმომადგენლებს ჩემმა მოსაუბრემ.

ამ ოპოზიციონერის მოსაზრება იმიტომ მოგიყევით, რომ ნათლად დაგანახოთ, ვისაც უფრთხიან და პირველ რიგში, ვისი დამარცხებაც აქვთ განზრახული.

მედროვე, ხარბი და ქვეყნის მტერი ოპოზიციონერების ერთადერთი დამაბრკოლებელი არის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ ჩამოშორდა პოლიტიკას, ხელისუფლებას, ყველაფერს და სურს თავის ოჯახს მოეფეროს, ეს პარაზიტები კვლავაც არ ასვენებენ.

საქმე რაშია, იცით?

ბატონი ბიძინა დალოცოს გამჩენმა და მტრობას და შურს რა იწვევს, მე გეტყვით:

მტრობას, ზიზღს და სასტიკ ანტაგონიზმს იწვევს სულიერი სიცარიელე.

ბიძინა ივანიშვილს, იმის გარდა, რომ დიდძალი ქონება გააჩნია, აქვს კიდევ სხვა სიმდიდრე და ეს არის საქართველოს სიყვარული და ადამიანების სიყვარული. ამასთანავე, მისთვის ყველაზე ძვირფასია მისი ოჯახი; ოჯახის სიყვარულიდან მოდის საკუთარი მიწის და ქვეყნის სიყვარული, თორემ მიხეილ სააკაშვილს და მის ბიძასაც არ აქვთ ნაკლები ფული, მაგრამ არ აქვთ ის „სხვა“, მშობლიური განცდა, ოჯახის, ტრადიციის, ქვეყნის (გაიხსენეთ, თემურ ალასანია რომ ამბობს ქართველებზე: „ავანტყოფი ერი“-ო). ამიტომაც არის, რომ ბიძინა ივანიშვილი თავიანთ პირად მტრად მიაჩნიათ.

„ქართულ ოცნებაში“ რა გადაჯგუფებებიც არ უნდა მოხდეს, „ქართული ოცნება“ დაიშლება თუ გაიშლება, ეს არაა მთავარი. მთავარია, ბიძინა ივანიშვილი იყოს საქართველოში, რადგან, სანამ ის იქნება აქ, ომის და სისხლისღვრის საშიშროება არ არსებობს. ივანიშვილი თუ ქვეყნიდან წავიდა, მერე ვიკითხოთ ურთიერთშუღლი, ომი და უბედურება.

უკეთეს ვარიანტში, პოლიტიკიდან წასული ბიძინა ივანიშვილი კვლავ უკან რომ მობრუნდეს და ხალხს მოუწოდოს, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, როგორც 2012-ში, ახლაც დაუჭერს მხარს.

თქვენ კი, უგუნურებო და უმეცრებო, ვინც ბიძინა ივანიშვილს ხმალამოღებული ებრძვით და ქვეყნიდან მის წასვლაზე ოცნებობთ, გიფიქრიათ, საერთოდ, რა შეიძლება ახლა, ამ ისტორიულ მომენტში, ბიძინას ქვეყნიდან წასვლას მოჰყვეს?

მგონი, არ გიფიქრიათ და თუ გიფიქრიათ და ვერ მიმხვდარხართ, მართლა, ვაი, თქვენს პატრონს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# გზა „ბოროტების საძმოს“ წევრობიდან, ტერორისტობიდან და განგსტერობიდან „ნელსონ მანდელას სტატუსამდე“

## ვინ არის სინამდვილეში „პოლიტპატიმარი“ ჟორიკა რურუა?



„ღრმად პატივცემულ პოლიტპატიმარ“ჟორიკა რურუას წლების წინ მედია იშვიათად ახსენებდა. ბოლო წლებში იგი მეტად აქტუალური ფიგურა გახდა. მისი კრიმინალური წარსულის ძირეული გახსენების აუცილებლობა მისი დამცველების და გულშემატკივრების უტიფარმა განცხადებებმა განაპირობეს“. სოციალურ ქსელში დღემდე იხსენებენ მის წარსულს და სამართალდამცავების მისამართით უამრავ კითხვას სვამენ. გასულ წელს მის შესახებ საინტერესო პოსტი გამოაქვეყნა დავით ზარდიაშვილმა: „ჟორიკა რურუა არ არის „ჩვეულებრივი“ კრიმინალი, მხოლოდ სასტიკი მკვლელი, ბანდიტი, მაფიოზი ან სხვა. იგი განსაკუთრებით საშიში ტერორისტია. „ბოროტების საძმო“ არ გახლდათ ოდენ „ბანდიტური“, „მაფიოზური“ და სხვა „ორდინარული“ კრიმინალური დაჯგუფება, იგი განსაკუთრებით საშიშ ტერორისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მისი მიზნები იმთავითვე, როგორც კი შეიქმნა, გამორჩეულად ტერორისტული იყო.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით (იხ. სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნა) ტერორისტული მიზანი მკაფიოდ და ცალსახად განიმარტება: „ტერორისტული მიზანი არის მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება“.

ტერორისტული განზრახვა პოლიტიკური შინაარსისაა და ნიშნავს ძალადობრივი, ტერორისტული აქტით (მკვლელობით, აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით, მძევლად აყვანით და სხვ.), რომელსაც მოჰყვება მასობრივი შიშის დათესვა, ხელისუფლების ორგანოების, სულ ცოტა – იძულება, უარეს შემთხვევაში – საერთოდ მათ დამხობა და განადგურება, ძალაუფლების მოპოვებისა და მთლიანად საზოგადოებაზე, ანდა მის ნაწილზე გაბატონებისთვის. ტერორიზმის იდენტიფიკაციისთვის არსებითია როგორც ტერორისტული მოტივი – მასობრივი შიშის დათესვით გაბატონება, ასევე ტერორისტული მეთოდიც – განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ისეთი ძალადობა, რაც შიშის ზარს დასცემს ხელისუფლებასაც, მოსახლეობასაც და ამ გზით ტერორისტთა ნებას გააბატონებს.

„თორაძეების საქმე“ სწორედ ასეთ ტერორისტული აქტის მკაფიო მაგალითია. თორაძეების ოჯახის გაჟლეტის მიზანი არ ყოფილა მხოლოდ პირადი ანგარიშწორება, შურისძიება, ეს არ იყო კრიმინალური გარჩევის გაგრძელება; ეს იყო საჯაროდ, არა მხოლოდ უამრავი მოწმის თანდასწრებით, არამედ მთელი ქვეყნის დასანახად და მასობრივი შიშის დასათესად დემონტრაციულად ჩადენილი არაადამიანური სისატიკე, რასაკვირველია – ტერორისტთა პოლიტიკური ნების, მათი გაბატონების უზრუნველსაყოფად. იგივეს თქმა შეიძლება სვანაძისა და ვეფხვაძის სასტიკ მკვლეობებზეც, რომელთა მიზანი ასევე ტერორისტულია – ეს არ იყო მხოლოდ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი „ორმაგი“ პოლიტიკური მკვლელობა, არამედ – სწორედაც თავზარის დაცემა მაშინდელი „პოლიტიკური კლასისთვის“, რათა „ბოროტების საძმოს“ ნებას წინ ვერაფერი აღდგომოდა.



ასევე, ტერორისტულ აქტებს წარმოადგენდნენ მაშინდელი გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობები, უწინარესად – გია ჭანტურიას, უსასტიკესი მკვლელობა. რასაკვირველია, „ბოროტების საძმო“ უფრო მსხვილი ორგანიზაციის – „მხედრიონის“, რომელიც იმდროინდელ ნახევრად-ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან შეზრდილი ნახევრად-ტერორისტული ორგანიზაცია იყო, სტრუქტურულ ერთეულსა და მის ერთგვარ „დამკვრელ ბრიგადას“ წარმოადგენდა. ტერორისტული ძალადობა მაშინ, იმ საშინელ დროში, ძალაუფლების განხორციელების „საბაზისო მეთოდოლოგიად“ იქცა. ტერორიზმის ეპოქა, ეგრეთ წოდებული „მხედრიონობია“, საქართველოში, რასაკვირველია, 1995 წელს, როცა კონსტიტუცია მივიღეთ, ფორმალურად თითქოსდა დასრულდა. თუმცა, როდესაც 2003 წელს, ე.წ. ვარდების რევოლუციით ქვეყანა ისევ ასცდა კონსტიტუციურობის გზას, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კვლავ გამოიხმო და „გააცოცხლა“ ტერორიზმი და ტერორისტები. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება – ძმები რურუები არიან, მაგრამ არა მარტო. რა უნდა გაკეთდეს? რასაკვირველია, თორაძეების საქმე, ისევე, როგორც ვეფხვაძე-სვანაძის მკვლელობები, რაც აშკარად ატარებს ტერორისტული აქტებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, დასაბუთებული ეჭვისთვის, საკმარისზე მეტი სამართლებრივი საფუძველია, რათა ჟორიკა რურუას და მთლიანად, „ბოროტების საძმოს“ მიმართ, დაიწყოს და წარიმართოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ უმძიმესი დანაშაულებისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის 38-ე თავით – „ტერორიზმი“.

აქ ისიც არსებითია, რომ ტერორისტულ დანაშაულთა აბსოლუტური უმრავლესობა განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და სსკ-ის 71-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა ასეთი დანაშულებისთვის 30 წელია. ამიტომ, იმთავითვე მცდარია აზრი, რომ ხანდაზმულობის გამო ჟორიკა რურუას, ანდა „ბოროტების საძმოს“ რომელიმე სხვა წევრს, რომელსაც ასეთი დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება. პირადად ჩემთვის არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ჟორიკა რურუა ტერორისტია. ცხადია, უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს და ჩემი, თუ თუნდაც, საზოგადოების დიდი ნაწილის ეს ეჭვი არაფერს ნიშნავს, სანამ ჟორიკა რურუას ტერორისტობას სასამართლო არ დაამტკიცებს. მაგრამ თუ სასამართლო მას მსჯავრს დასდებს ტერორიზმში, მაშინ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, პოლიტიკურადაც აბსოლუტურად აშკარა და ბრმათათვისაც ნათელი გახდება: „ნაციონალური მოძრაობა“ და მის გარშემო დარაზმული ეგრეთ წოდებული ოპოზიციური ბანაკი არის ტერორიზმისა და ტერორისტების, რომელთა სახე და სიმბოლოცაა ჟორიკა რურუა, თავშესაფარი და მფარველი ორგანიზაცია! წარმოუდგენელია, ასეთ ორგანიზაციას, რომელიც მფარველობს და პოლიტიკურ საქმიანობაში იყენებს ტერორისტებს, მხარს უჭერდეს კეთილი ნების რომელიმე ადამიანი, იქნება იგი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ტერორისტების მფარველთა არა მხოლოდ მხარდაჭერა, არამედ მათთან რაიმე პოლიტიკური თანამშრომლობა უდიდესი სირცხვილი და თავის მოჭრაა!“

ვფიქრობ, ავტორმა შესანიშნავად ჩამოაყალიბა დანაშაულის კვალიფიკაცია და არ იქნება ურიგო, პროკურატურამ ყურად იღოს საზოგადოების მოთხოვნა და ოცდაათი წლის განმავლობაში ტერორისტების „პარპაშს“ წერტილი დაუსვას. სოციალურ ქსელში განხილვის საგანი გახლავთ „ბოროტების საძმოს“ სხვა წევრების დანაშაულებრივი წარსულიც – „25–26 წლის ბიჭები რეგიონში უმსხვილეს ნავთობკომპანიას აკონტროლებდნენ. ნავთობბიზნესში ჩართვა და, რაც მთავარია, მისი შენარჩუნება, არ გინდოდა 1994 წელს? რურუებიდან ერთი ძმა მინისტრი იყო, მეორე ეფ-ბი-აი-მ გამოგვიგზავნა ჩარტერული რეისით და შედეგად არც კი დაიჭირეს და იქით მოკვდა მისი გამომძიებელი საეჭვო ვითარებაში. თან იპოდრომის წილებს ფლობდა და ეხლა პოლიტპატიმარს ეძახის ნახევარი ევროპარლამენტი და აშშ-ის კონგრესი...

მაგრები ყოფილან, ძმაო, ვაღიარებ. უბნის ძველი ბიჭობიდან ტრამპის ბიზნეს-პარტნიორობამდე და ნელსონ მანდელას სტატუსამდე ასვლა არ გინდა 15 წელიწადში?“

მიუხედავად იმისა, რომ „ბოროტების საძმოს“ წევრებს ნიკა რურუა და, უშუალოდ სააკაშვილი მფარველობდნენ, 2008 წელს მისი ორი ყოფილი წევრი, იმჟამად უკვე ცნობილი ბიზნესმენები, მაინც დააპატიმრეს, თუმცა, მათი დაპატიმრება სამართალდამცავებს ოფიციალურად არ გაუხმაურებიათ. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, რადგან ერთმა „ბიზნესმენმა“ თავისუფლების სანაცვლოდ, საკუთარი წილი „თბილისის წყალში“ პრეზიდენტთან დაახლოებული ბიზნესმენების სასარგებლოდ დათმო. უცნობია, კონკრეტულად რა წილი „დათმო“ მეორემ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დაკავების შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ყაზახებმა საქართველოში საკუთარი წარმომადგენლობა, ანუ „სილქროუდ გრუპი“ გააუქმეს. იმ პერიოდში „სილქროუდ გრუპს“, კონკრეტულად თბილისში, „ტრამპთაუერი“ უნდა აეშენებინა. როგორც ჩანს, ყაზახები ამ ფაქტმა აღაშფოთა, რადგან „სილქროუდ გრუპს“, ოფიციალურად, „ტრამპთაუერის“ აშენების ვალდებულება არ ჰქონია.

საოცარია, ისეთ სუპერსახელმწიფოში, როგორიც ამერიკაა, სამართალდამცავებმა ათწლეულების ბრძოლის შემდგომ მოახერხეს, სისასტიკით განთქმული ალ კაპონეს დაკავება. კრიმინალურ იმპერიას, რომელსაც იგი განაგებდა, წელიწადში 60 მილიონი დოლარი შემოსავალი მოჰქონდა. ეკონომიკური კრიზისის წლებში, საზოგადოებაში პოპულარობის მოსახვეჭად, ალ კაპონემ პირველმა გახსნა უოლ-სტრიტზე უფასო სასადილოები უმუშევრებისთვის. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი პრესის მოსყიდვას. მისი კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში იყო „ჩიკაგო ტრიბუნის“ რეპორტიორი ჯეკ ლინგლი, რომელიც ყოველ კვირაში „აცხობდა“ ალ კაპონეს სადიდებელ სტატიებს. ალ კაპონეს „მეფობის“ 14 წლის განმავლობაში ჩიკაგოში მოხდა 700 დაკვეთილი მკვლელობა, მათგან 400 უშუალოდ მის მიერ იყო ნაბრძანები. ჩვიდმეტ პროფესიონალ მკვლელს სასამართლომ ოფიციალურად წარუდგინა ბრალდება, მაგრამ განგსტერების დაპატიმრება და ციხეში გაგზავნის შემთხვევები ძალიან იშვიათი იყო. 1930-იან წლებში გამოძიების ფედერალურ ბიუროს სათავეში ჩაუდგა ედგარ გუვერი. მან შეიმუშავა მაფიასთან ბრძოლის ახალი მეთოდები. რადგან დადანაშაულება მაფიოზების მკვლელობაში თითქმის შეუძლებელი გახდა, მათ ციხეში უფრო მცირე დანაშაულისთვის გზავნიდნენ. 1929 წელს ალ კაპონეს იარაღის ტარებისთვის ათი თვე მიუსაჯეს. ციხეში ის თავისუფლად იღებდა მნახველებს, ლაპარაკობდა ტელეფონით და განაგრძობდა „იმპერიის“ ხელმძღვანელობას. მეორედ „ჩიკაგოს მეფეს“ გადასახადების გადაუხდელობის ბრალდება წაუყენეს. კაპონემ მოისყიდა თორმეტივე ნაფიცი მსაჯული, მაგრამ სასამართლოს დანიშნულ დღეს მსაჯულები შეცვალეს. 1931 წლის 22 ოქტომბერს კაპონეს მიესაჯა დიდი ფულადი ჯარიმა და 11 წლით პატიმრობა. როგორი „დამთხვევაა“ – მინიმუმ, 400 კაცის მკვლელი და სხვა უამრავი დანაშაულის ჩამდენი ზედემოკრატიულ სახელმწიფოში ჯერ იარაღის უკანონო ტარებაზე იხდიდა სასჯელს და შემდეგ გადასახადების გადაუხდელობის გამო. ცნობილი კრიმინალების ისტორიას თუ გადავხედავთ, მათთვის მავანთა დახმარება უცხო არ არის, მაგრამ ცუდი ბიჭები კარგების როლს მაინც ვერ ირგებენ და უმრავლესობის აზრით, მაინც პირსისხლიან მკვლელებად, ტერორისტებად რჩებიან.

და ბოლოს, უილიამ პირსის სიტყვებით დავასრულებ, რომელმაც დროს და სივრცეს გაუძლო: „როდესაც განაგრძობ ცხოვრებით ტკბობას და იფიქრებ, რომ ყველაფერმა ჩაიარა, გახსოვდეს – მე ვიცი, სად ცხოვრობ, მე მახსოვს, რა ჩაიდინე“.

**მარიამ ჯანჯღავა**

# ლადო პაპავა: დავკარგეთ ზუსტად ის პერიოდი, რაც ღარიბაშვილი აღარ იყო მთავრობაში, როგორც პრემიერ-მინისტრი



„ჩვენ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ, დაიკარგა ფაქტობრივად, 2014 წლიდან მოყოლებული დრო. დავკარგეთ ზუსტად ის პერიოდი, რაც ღარიბაშვილი აღარ იყო მთავრობაში, როგორც პრემიერ-მინისტრი.

2013 წელს ბიძინა ივანიშვილმა გამოსცა სამთავრობო დადგენილება, რითაც დაევალა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს, მოემზადებინათ „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგია 2020“. ამ დოკუმენტზე მუშაობდა ძირითადად ფინანსთა სამინისტრო. ეკონომიკის სამინისტრო ნაკლებად იყო ამაში ჩართული, უფრო ფორმალური იყო ამაში მონაწილეობა, ამიტომ, კვირიკაშვილს არც არასდროს გაუთავისებია, როგორც მისი პროდუქტი. ამაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოგზავნილი ექსპერტები და ქართველი ეკონომისტები. ეს გეგმა დაამტკიცა უკვე პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა, 2014 წელს და იქ იყო ძალიან კარგი ჩანაწერი, რომ ყველა სამთავრობო უწყებას, ამ სტრატეგიიდან გამომდინარე, უნდა წარმოედგინა ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, მაგრამ როგორც კი მთავრობიდან წავიდა ირაკლი ღარიბაშვილი და მის ადგილზე კვირიკაშვილი მოვიდა, შემდეგ იყო პრიმიტიული ოთხპუნქტიანი გეგმა.

ვერ გაბედეს, რომ სტრატეგია 2020 გაეუქმებინათ, პრემიერ-მინისტრები იცვლებოდნენ, სტრატეგია გაუქმებული არ იყო, მაგრამ არც არავინ ასრულებდა. დავკარგეთ ზუსტად ის პერიოდი, რაც ღარიბაშვილი აღარ იყო მთავრობაში, როგორც პრემიერ-მინისტრი. ეს იყო დამსახურება მისი ჩამნაცვლებელი კვირიკაშვილის, რომელიც ფორმალურად ერთ-ერთი ავტორი უნდა ყოფილიყო იმ სტრატეგიის, მაგრამ ეს მას გათავისებული არ ჰქონდა. ამიტომ, დიდი წვლილი მას ამ დოკუმენტში არ შეუტანია და როგორც კი გახდა პრემიერ-მინისტრი, პრიმიტიული 4 პუნქტიანი გეგმა წარმოადგინა. ჩვენ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ, დაიკარგა ფაქტობრივად, 2014 წლიდან მოყოლებული დრო“.

**ფეისბუკი**



# ვინც გასცემს პასუხს კითხვაზე, რატომ არის საქართველო ღარიბი ქვეყანა, როცა ის უნიკალური შესაძლებლობების და რესურსების ქვეყანაა?



გიორგი გახარია ახალ პარტიას აფუძნებსო, ამბობენ.

პარტიების მეტი რა არის საქართველოში, რომლებიც ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს.

თითქოს არსებობს რაღაც დაკანონებული სტანდარტი, რაღაც საერთო ჩარჩო და სტერეოტიპი და ამის მიხედვით იჩეკებიან და იჩეკებიან ახალ-ახალი პარტიები, სადაც ყველა დემოკრატიას აშენებს, ყველა დასავლური ორიენტაციისაა და ყველა ნატოსა და ევროკავშირში აპირებს შესვლას, თუმცა არც მათ მიერ აშენებული დემოკრატია უნახავს ვინმეს და მათ გამო არც ნატოსა და ევროკავშირის „ღია“ კარები გაღებულა.

გიორგი გახარია თუ ამ თავის ახალ პარტიას ძველ კლიშეებზე მოჭრის, რა აზრი აქვს ასეთი პარტიის დაფუძნებას?

პირადად მისთვის და მისი პარტიის მომავალი წევრებისთვის, კი, ბატონო, აზრი აქვს, არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, თვითმმართველობის ორგანოებში შევლენ, პარლამენტში, მთავრობაში, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმდებიან, მაგრამ საქართველოს და ქართველ ხალხს რა სიკეთე აქედან, თუ არ ითქვა ის ახალი სიტყვა, რითაც ქართული ეკონომიკა ადგილიდან უნდა დაიძრას.

ამ ახალი სიტყვის თქმას კი დიდი გამბედაობა, დიდი თავდადება და თავგანწირვა სჭირდება.

თქვენ ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას: საქართველო ღარიბი ქვეყანაა.

თავის მართლებასავით ამბობენ ხოლმე ამ ფრაზას მავანნი და მავანნი: რა ვქნათ, თავს ზემოთ ძალა არ არის, საქართველო ხომ ღარიბი ქვეყანააო. თუმცა არავინ ამბობს და არავინ შიფრავს, რატომ არის საქართველო ღარიბი ქვეყანა?

საქართველო ღარიბი კი არა, უმდიდრესი, უნიკალური შესაძლებლობების და რესურსების, ყველა სიკეთით შემკული და დაჯილდოებული ქვეყანაა, რომელიც, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ღარიბი.

საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, გეოეკონომიკური ფუნქციით, თავისი კლიმატით, წყლით, მიწით, მთით, ბარით, ზღვით, უნიჭიერესი ადამიანებით, უძველესი კულტურით, უდიდესი ისტორიული გამოცდილებით.

მაშინ რატომ არის ეს ქვეყანა ღარიბი, რატომ გარბიან ადამიანები აქედან, რატომ გავნახევრდით, რატომ დავუძლურდით და რატომ გავმათხოვრდით?

ამ კითხვებზე, ჯერჯერობით, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ გაუცია პასუხი, პასუხი კი არა, ეს კითხვები არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ გაუხდია მსჯელობის საგნად.

არ ყოფილა ამ თემაზე საუბარი მაშინაც, როცა ბატონი გახარია თავად ბრძანდებოდა პრემიერ-მინისტრი და, წესით და რიგით, მისი საქმიანობის მთავარი თემა სწორედ ეს უნდა ყოფილიყო.

იქნებ, პრემიერ-მინისტრობა უშლიდა ხელს გახარიას, რომ ამ თემაზე გახსნილად და გულწრფელად ელაპარაკა?

არც უმაგისობაა — ჩვენს სინამდვილეში მაღალი თანამდებობა ზოგჯერ ბორკილი უფროა, ვიდრე თავისუფალი მოქმედების საშუალება.

— რატომ ტყუით და რატომ ამბობთ, რომ პრემიერ-მინისტრი გახარია სიღარიბის დაძლევაზე და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე არ ლაპარაკობდა, როცა მთავრობის ხელმძღვანელის პოსტს იკავებდა? — შემომედავებიან, ალბათ, ვიღაც-ვიღაცები.

ლაპარაკით როგორ არ ლაპარაკობდა, მაგრამ ის არ ლაპარაკობდა იმ მთავარ, ფუნდამენტურ მიზეზებზე, რამაც საქართველო, ეს დიდი პოტენციის ქვეყანა, სიღარიბის კარამდე მიიყვანა.

**გოგი ინწკირველი**

თბილისი







# „მეგრულის და სვანურის ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ“

**ვაგრძელებთ „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაწყებულ დისკუსიას. რედაქციის სტუმრები არიან აკადემიკოსები ნოდარ ნათაძე და ავთანდილ არაბული**



(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N14)

**ნოდარ ნათაძე:** სპეციალობით ლინგვისტი ქართველოლოგი გახლავართ. დისერტაცია ქართველურ ენათმეცნიერებაზე დავიცავი. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც მეცნიერული ქართველოლოგიის წინასიტყვაობა, შესავალი ისწავლებოდეს, ოღონდ სხვადასხვა სირთულით. ადამიანს ეს ელემენტარული ცოდნა უნდა ეძლეოდეს. რა უნდა ავუხსნათ მოსწავლეს? — ის, რომ არსებობს ქართული დიალექტები და ენები, რომელსაც დიალექტს ვერ დაარქმევ იმიტომ, რომ ძალიან განსხვავებულია. მრავალი ათასწლეულია სალაპარაკო ქართული ენა არსებობს. ასევე, სალაპარაკო მეგრული ენა, რომლითაც მრავალი წელია ქართველთა ერთი ნაწილი საუბრობს. ასევე, არსებობს სალაპარაკო ლაზური და სვანური ენები. სვანურ ენას აქვს ოთხი დიალექტი. ამ ოთხი სალაპარაკო ენის გარდა, კიდევ გვაქვს ლიტერატურული ენა, რომელსაც რამდენიმე ათასი წელიწადია მთელი საქართველოს ინტელექტუალური ელიტა იყენებს. ანუ, ეს არის საქართველოში ყველაზე განვითარებული ენა. ასე, რომ სამწერლო ენა ქართველმა ერმა მრავალი ათასწლეულების მანძილზე შეიმუშავა და შეინარჩუნა. ამაში მონაწილეობა მიიღო სრულიად ქართველი ერის ელიტამ. მინდა ერთი რამ გითხრათ, რასაც ქართველოლოგებიდან სხვა ვერავინ გეტყვით: ფილოსოფიაში გვაქვს ასეთი ტერმინი — არსებობს სიტყვები, რომელთაც თავისი მნიშვნელობა აქვთ. ამ მნიშვნელობაში, თურმე, ზოგი ისეთია, რომლის განმარტება განსაზღვრებით არის შესაძლებელი. მაგალითად, რა არის ხმალი? — გარკვეული ფორმის იარაღი, ადრე ბრინჯაოსგან მზადდებოდა, შემდეგ ფოლადისგან, მისით ბრძოლა წარმოებდა. მაგრამ ყველა სიტყვას ასე ახსნით როდი გაგაგებინებთ. ამას ოსტენსიური მნიშვნელობა ჰქვია. მაგალითად, რა არის ტკივილი? — ამას ვერ აგიხსნით. ამის ახსნა მხოლოდ მინიშნებით შემიძლია. ამასთან დაკავშირებით, ერთი თავგადასავალი მაქვს. მესამე კურსიდან ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართველოლოგიური ენები ცალკე სპეციალობად გამოიყოფა. აგარაკზე ვიყავით, სადაც ჩამოსული იყო უნივერსიტეტის პროფესორი, გეო-ფიზიკოსი, ძალიან ხალხმრავალ მეგრულ სოფელში დაბადებული და გაზრდილი. როცა გაიგო ჩემი სპეციალობა ქართველოლოგიური ენები იყო, ძალიან დაინტერესდა. ლინგვისტურ თემებზე გამიბა საუბარი. მე, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კანონზომიერება შევამჩნიე. მეკითხებოდა: ამა თუ იმ მეგრულ სიტყვაზე, თუ იციო. ვპასუხობდი: არა-მეთქი. ო, ეს შესანიშნავი სიტყვააო, ამბობდა და მის მნიშვნელობას მიხსნიდა. სიტყვებს დავაკვირდი და მივხვდი რაშიც იყო საქმე: თურმე, სიტყვები რომელსაც იგი მამა-შვილურად მასწავლიდა და რომლის შინაარსსაც მიხსნიდა, თავისი შინაარსით ოსტენსიური იყო. ეს სიტყვები, თემატურად, ადამიანის სულიერ ცხოვრებას, ფსიქოლოგიას, შინაგან ცხოვრებას ეხებოდა, მაგრამ იყო ისეთებიც რომელთა განმარტება ძალიან ძნელია. ამ სიტყვებს ან მიახვედრებ მოსაუბრეს ან ვერა. მერე მივხვდი, რატომ იყო იგი დაინტერესებული ჩვენთვის ეს სიტყვები ესწავლებინა. ჩემთვის ცხადი გახდა, როგორი უნდა იყოს საქართველოში ენობრივი პოლიტიკა. პირდაპირ ვამბობ: სიტუაცია ისე უნდაააწყო, რომ ლიტერატურა შეიქმნას არამარტო ქართულად, არამედ მეგრულად, სვანურად და ლაზურად. ე.ი. პირველი ამოცანა რომელიც ამ მიმართულებით უნდა განახორციელო, ეს გახლავთ ის, რომ შექმნა ლიტერატურული შემოქმედება — პოეზიაც და პროზაც ქართველურ ენებზე. დიახ, არამარტო ქართულ ენაზე, არამედ მეგრულადაც, ლაზურადაც და სვანურადაც. აი ეს გახლავთ საქართველოს ხელისუფლებისადმი ჩემი, პრაქტიკული რეკომენდაცია.

**— ბატონო ნოდარ, როგორ ფიქრობთ, უნდა იცოდეს თუ არა ყველა ქართველმა ქართველური ენები — მეგრული, ლაზური, სვანური?**

— დიახ, აუცილებლად უნდა იცოდეს გარკვეული სავალდებულო მინიმუმის გათვალისწინებით. ანუ, უნდა იცოდეს საგანი — მეცნიერული ქართველოლოგიის შესავალი. დიახ, ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ოთხი ენა — ქართული მეგრული, ლაზური და სვანური ერთი ენის ფუძიდან არის წარმოშობილი ბგერათშესატყვისობის საფუძველზე. ბგერათშესატყვისობა გახლავთ ის, რომ ერთი ფუძე ენა დაიშალა ოთხ ენად იმიტომ, რომ ბგერების წარმოთქმა შეიცვალა. მაგალითად, სადაც ქართულად გამოითქმის ა, იქ, მეგრულად და ლაზურად ითქმის — ო. სადაც ქართულად არის ს, იქ, მეგრულად არის შ. მაგალითად, ასული მეგრულად არის ოსული. ძალიან რთული ასახსნელია, მაგრამ ეს სასწავლებლებში უნდა ისწავლებოდეს, რათა ამის შესახებ ყველამ სამუდამოდ იცოდეს. დიახ, ეს ენები უნდა ვასწავლოთ, მაგრამ როგორც აღვნიშნე, საგნის კონტექსტში — მეცნიერული ქართველოლოგიის შესავალი. თუ უფრო მეტს ვასწავლით, მაგას რა სჯობია. სხვათა შორის, ძალიან დიდი განძია ის, რომ აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ, რომელიც ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელი იყო, მედიკო გუჯეჯიანთან ერთად გამოსცა სვანური პოეზია, 400 გვერდიანი წიგნი ქართული წყაროებით. სვანური ლექსი ურითმოა, თეთრი ლექსია. მეგრულ და ლაზურ ლექსში რითმა იხმარება.

**— ენის კანონი გვაქვს, სადაც ქართველური ენების მნიშვნელობაზეც არის საუბარი, მაგრამ კანონი არ სრულდება.**

— იცით რა, არ სრულდება იმიტომ, რომ კვალიფიციური კადრი არ გვყავს, ვინც ამ კანონს შეასრულებს. ძირითადი არის ის, რომ უნდა ხდებოდეს ლიტერატურული შემოქმედების ქართველურ ენებზე სტიმულირება. ეს არის მთავარი. სხვათა შორის, ეს ძნელი არ არის იმიტომ, რომ გრამატიკული სტრუქტურა და ა.შ., ძირითადად, ერთიდაიგივეა. ამიტომ, როგორც საგანი, მისი შესწავლა ძალიან ადვილი იქნება. აქვე, გეტყვით: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე პრეზიდენტმა ისაუბრა. სალომე ზურაბიშვილი, საერთოდ, ძალიან კეთილი ნების ადამიანია. მას კარგად ესმის პოლიტიკაც რაც სჭირდება. ამიტომ, მივესალმები მის სიტყვას მეგრულ და სვანურ ენებთან დაკავშირებით.

**ავთანდილ არაბული, ენათმეცნიერი:**

**— ბატონო ავთო, 14 აპრილს — დედაენის დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა მიმართვა გაავრცელა, სადაც აღნიშნა, რომ მეტი**



**ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს მთავარ საგანძურს — მეგრულ და სვანურ ენებს. ამ საკითხზე როგორია თქვენი მოსაზრება?**

— ჩვენი ქვეყნის და ერის ისტორია მრავალფეროვნების სანიმუშო მაგალითია. თანაც, ეს მრავალფეროვნება, არაერთგვაროვნება დისჰარმონიის (სხვაგვარად — კაკაფონიის) კი არა, არამედ, პირიქით, პოლიფონიის საფუძველია. ეს ყოველივე ისტორიულად გვერგო და კულტურაშიც ჰპოვა ასახვა. ჩვენი ეროვნული კულტურა ყველა მიმართულებით, იქნება ეს ხალხური ზეპირსიტყვიერება, ხალხური რეწვა, მუსიკა, პოეზია თუ სხვა, საოცრად ნაირგვარია. იგი ეთნოგრაფიულად ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ, რაც მთავარია, მისი ფუძე და ძირი მაინც მკვიდრი ქართულია; ანუ, განკერძოების ნაცვლად, შეკავშირების საფუძველია. რაც შეეხება პრეზიდენტის ამ განცხადებას, ამგვარ ეროვნულ საკითხებზე მისი ყურადღება მისასალმებელია. საგულისხმოა, რომ სწორედ პრეზიდენტი — ქვეყნის პირველი პირი საუბრობს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე და, თანაც, დედაენის დღეს. მან ზუსტად აღნიშნა, რომ მეგრული და სვანური ენები ჩვენი საგანძურია და მათ მეტი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. „საერთო გაზეთმა“ ამ თემას ოპერატიულად მიუძღვნა დისკუსია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან „საერთო გაზეთი“, თავად ბატონი ვახტანგი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა მეგრული და სვანური ენების როლსა და მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებაში. ყურადსაღებია, რომ ამ პირველივე დისკუსიამ აჩვენა, რომ პრეზიდენტის აზრმა უკვე გამოიწვია მნიშვნელოვნად განსხვავებული რეაქციები. ეს იმის გამო, რომ პრეზიდენტის ეს მიმართვა, მართალია, გულითადი პატრიოტის ნათქვამია, მაგრამ, როგორც პოლიტიკური განცხადება, ერთგვარად დაუბალანსებელია. რამაც განაპირობა კიდეც არაერთგვაროვანი რეაქცია. ეს რომ პოეტს, ხელოვანს ან რიგით მოქალაქეს ეთქვა, დიდად საყურადღებო არც არაფერი იქნებოდა...

**— რას გულისხმობთ, როგორი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის მიდგომა ამ საკითხისადმი?**

— სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ მეგრული და სვანური ენები ჩვენი საგანძურია, რომელსაც უნდა ვიცავდეთ და ვანიჭებდეთ სწორ ადგილს. ამით ყველაფერი უკვე ნათქვამია და სხვა გამონათქვამები აღარ სჭირდება. მე ვინ მეკითხება, მაგრამ, ჩემი აზრით, ამას უნდა მოჰყოლოდა მისი საგნობრივი ინიციატივა: მე, როგორც პრეზიდენტს, შემომაქვს წინადადება, ჩემს ეგიდქვეშ შეიქმნას სახელმწიფო კომისია (ან საბჭო), რომელიც ამ მიმართულებით ეროვნულ სტრატეგიას განსაზღვრავს. ანუ, სიტყვა საქმით გაგრძელდებოდა. მეეჭვება, რომ ესეც, როგორც სხვა ბევრი გამონათქვამი, უკვალოდ ჩაივლის. მხოლოდ ერთგვარი კამპანიის სახე ექნება, როგორც ხდება ხოლმე საქართველოში.

ამ კონტექსტში ერთს გავიხსენებ: 90-იან წლებში გარკვეული კონცეფცია შევთავაზე საზოგადოებას სკოლაში ეროვნული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. შესაბამისი პროგრამა იმასაც ითვალისწინებდა, რომ დედაენის სწავლებაში ეტაპობრივად უნდა შემოგვეტანა ქართველური ენების გარკვეული მონაცემებიც და ეს ელემენტები მეთოდურად გაგვეძლიერებინა. მიზანი ამისა მარტივია: ჩვენი ეროვნული სიმდიდრის ყოველი გამოვლენის მიმართ ურბანული თუ რეგიონული უცხოობა უნდა დაიძლიოს, უფრო ნათლად: გორში, უდეში, ბარისახოში თუ ჭიკაანში მყოფი მოსწავლე ელემენტარულად გათვითცნობიერებული უნდა იყოს იმაში, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ენობრივი საგანძური მისიცაა, საერთოა. მეორე მხრივ, წალენჯიხაში და ბეჩოში მცხოვრები მოსწავლე დაინახავს, რომ მისი საოჯახო მეტყველება მისივე დედაენის საგნის განუყოფელი ნაწილი ყოფილა. რესპონდენტები რომ გაუცხოებაზე ლაპარაკობენ, სწორედ ამის დაძლევის გზა იგულისხმება. ახლა, როგორც ექსპერიმენტი, ერთი საილუსტრაციო მაგალითი: მე-4 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში ისწავლებოდა უძველესი მითოლოგიური (უთუოდ საერთოქართველური) ლექსი: “მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, წვრილი-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი”. ეს ლექსი მე-5 კლასის სახელმძღვანელოში მეგრულად შევიტანეთ: “ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა — მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი”. ამ ინიციატივას საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ექსპერტები ეჭვობდნენ: ბავშვები და მასწავლებლები ამას არ მიიღებენ, ბავშვები გაიცინებენო და სხვა. არადა, არაჩვეულებრივად მიიღეს. მასწავლებელმა ჩვენზე უკეთ იცის, რა არის საერთო ეროვნული სიმდიდრე. მომდევნო წელს მე-6 კლასის სახელმძღვანელოში შევიტანეთ თითო სტროფი ლაზურად, თუშურად, ფერეიდნულად და სვანურად. ამ ყველაფერს ბავშვებმა ყური მშვენივრად მიაჩვიეს, ანუ გაითავისეს... მოკლედ, ეს ინიციატივა შემდეგნაირად უნდა დაგვირგვინებულიყო: მე-10 კლასში, სადაც ძველი ქართული ლიტერატურა ისწავლება და ძველი ქართულის თავისებურებების სწავლებაც აუცილებელია, ბავშვებისთვის ქართველოლოგიის ელემენტებიც უნდა მიგვეწოდებინა. ამგვარად ჩვენი საკმაოდ დეზორიენტირებული საზოგადოებაც გათვითცნობიერდებოდა, თუ რა სიმდიდრეს ვფლობთ, ბავშვებიც

მეტად ეზიარებოდნენ ჩვენს ეროვნულ საგანძურს...

**— თქვენს მიერ სახელმძღვანელოებში შეტანილი ლექსები მეგრულ, სვანურ და სხვა ენებზე ახლაც ისწავლება?**

— სამწუხაროდ, აღარ. ეს იყო ალტერნატიული სახელმძღვანელო, რომელიც შემდგომ პროგრამული ცვლილებების გამო ამოვარდა სისტემიდან. მთავარია, რომ ამგვარ ცდას წარმატება ჰქონდა.

**— თქვენ „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაზე აღნიშნეთ, არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოიწვია ამ თემამო. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— დიახ, არაერთგვაროვანი მოსაზრებები, რაც სტატიიდან გამოიკვეთა, სამწუხაროდ, ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას ასახავს. ანუ ჩვენ ამ სასიცოცხლო საკითხებზეც აღარა გვაქვს ის ეროვნული კონვენცია, რაც ისტორიულად ფაქტია. ჩვენ გარეგნულად თითქოს ეროვნულნი ვჩანვართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ფასეულობები და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები არა გვაქვს ჩამოყალიბებული. დღეს ჩვენ შიგნით ეროვნული თანხმობა ამ საკითხზე არ არსებობს. თქვენი რესპონდენტების საუბარში მკვეთრი განსხვავებები გამოჩნდა, რაც, წესით, არ უნდა იყოს. ეს გახლავთ შედეგია იმისა, რაც ჩვენ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ვნახეთ და განვიცადეთ. ეს სწორედ ის იყო, რასაც მე მოვლენების პროვოცირებას ვუწოდებდი და რასაც წარმატებით აღწევს ღია თუ ფარული მოწინააღმდეგე. აშკარაა, რომ აღნიშნული ეროვნული კონვენცია საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ამიტომ დგას ჩვენი არაპოლიტიზებული საზოგადოება დღესაც მყარად ეროვნულ პოზიციაზე, ამისი შერყევა უჭირთ. ხალხის სიბრძნე განსაკუთრებულია. დიდება კოლხი კაცის სიბრძნეს, რომელიც ვერანაირმა პროვოცირებამ გზიდან ვერ გადააცდინა. ილიამ ტყუილად როდი თქვა სამეგრელოში, ნამდვილი საქარველო აქ არისო. ამის ინტერპრეტირება ათასნაირად სცადეს. ვინც სამეგრელოში, სვანეთში, სხვა ისტორიულ კუთხეებში ერთხელ მაინც ყოფილა, ადვილად რწმუნდება, რომ სწორედ აქ არის ყველაზე ღრმად დარგული ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის ფესვები, რამაც დღემდე მოგვიყვანა. რა მემკვიდრეობა გვაქვს ჩვენ ამ თვალსაზრისით? ფარნავაზის და ქუჯის შეთანხმება არის ის კონვენცია, ფაქტობრივად, მაშინდელი ეროვნული კონსტიტუცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შეურყეველი დუღაბი აღმოჩნდა. ვერცერთი ჩასაფრებული ადამიანი ვერ იპოვის საქართველოს ისტორიაში შემთხვევას, როცა ეს კონვენცია დაირღვა, ან რაიმე ეჭვი გაჩნდა. მე-19 საუკუნის ბოლოდან რუსეთის პოლიტიკამ შეძლო გარკვეული უნდობლობის პროვოცირება გამოეწვია ჩვენს საზოგადოებაში. ამან გარკვეული უარყოფითი შედეგები მაინც მოიტანა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დამაზიანებელი აღმოჩნდა ორი მიზანმიმართული პროვოკაცია (უფრო — იდეოლოგიური დივერსია), რომელიც რუსეთის გეგმით განხორციელდა მე-20 საუკუნის დასაწყისსა და დასასრულს. განა შეეძლო ვინმეს წარმოედგინა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში შეიძლებოდა რუსული სცენარით ისეთი სერიოზული პროვოკაციის განხორციელება ქართველური ენების წინააღმდეგ, რისი მოწმენიც ჩვენ ბოლო მეოთხედ საუკუნეში გავხდით. მაგრამ ეს მოხდა და ამან დიდად დააზარალა არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი, არამედ ჩვენი საუნივერსიტეტო (აკადემიური) და სამეცნიერო (ქართველოლოგიური) სივრცეც. სწორედ აქ არის მიზეზები იმისა, რის გამოც თქვენი რესპონდენტები გაუცხოების ფაქტორზე საუბრობენ ხოლმე. არა მგონია ეს ტერმინი სწორი იყოს. მე ვერ ვხედავ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ეროვნული გაუცხოება არსებობდეს, მაგრამ გაჩნდა გარკვეული უნდობლობის ფაქტორი, რისი საფუძველიც ჩვენი უკუღმართად პროვოცირებული დამოკიდებულება გახლდათ საერთო საგანძურთან, ჩვენს სიმდიდრესთან — მეგრულ-ლაზურ და სვანურ ენებთან მიმართებით.

**— მოდით, ისიც განვმარტოთ: როგორ იგება საერთო ეროვნული ენა?**

— ყველა ერს და მათ ენებსაც მრავალფეროვნება ახასიათებს. ამაში გასაკვირი არაფერია. თუ დიდი ეროვნული თანხმობა და შინაგანი ერთობა არ არის, მერე ხდება ის, რაც ბევრგან მომხდარა, ანუ დეზინტეგრაცია. სახელმწიფოს ქართველი ერი ერთობით აშენებდა და, ასევე, ქმნიდა საერთო ეროვნულ (სახელმწიფო) ენასაც. ამაში წვლილი ყველას აქვს შეტანილი. ეს შეიძლება მხოლოდ მან არ იცოდეს, ვისაც ჩვენი ენის ისტორიაში არ ჩაუხედავს. ავიღოთ, სულხან-საბას ლექსიკონი, რომელიც ზანური წარმომავლობის ლექსიკის სიმდიდრესაც არანაკლებ ავლენს. ზანური კოლხური, ანუ მეგრულ-ლაზურია. ზანური ლექსიკის გარეშე ქართული სახელმწიფო ენის არსებობა წარმოუდგენელია. მაგალითად, ზღვაოსნობაში არსებული სიტყვები ოჩხომელი და ოლეჭკანდერი ზანური წარმოშობისაა, ასევე ზანური წარმომავლობის ლექსიკაა: ჯიხური, ურდული, ოჯინჯალი, ოდრიკალი, მარყუჟი, ლაყუჩი, მაფშალია, ისინდი, მარულა და სხვ. სვანურის შემონატანია მახვში, მაჩუბი, საკარცხული, მურყვამი, მუჯრა და სხვ. ეს სიტყვები სულ სხვადასხვა დროს არის საერთო ეროვნული ენის ნაწილად ქცეული. ასეთი რამ ხელოვნურად არ ხდება. ხელოვნურად ვერანაირ ტერმინს და ცნებას ვერ დაამკვიდრებ. ეროვნულ ენაში დღესაც საჭიროების მიხედვით ქართველური ენების მთელი ლექსიკური სიმდიდრე უნდა გამოვიყენოთ. მათ შორის, ჩვენი ქართველური ენების ლექსიკონებიდან ის ტერმინები უნდა გავაცოცხლოთ, რომლებიც ისტორიულ გარემოებათა გამო ფერფლწაყრილია. მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ სპეციალისტების მიერ შეიძლება წარიმართოს, სხვაგვარად დიდ შეცდომებს მივიღებთ...

**— ამ კუთხით, ალბათ, სამეცნიერო აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს?**

— სამწუხაროდ, არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ისე უგულვებელყოფილი და ჩაწიხლული არ არის მეცნიერება, როგორც თანამედროვე საქართველოშია. ერთ საგულისხმო ფაქტს გაგახსენებთ: ერთ-ერთი გამოსვლის დროს პრემიერმა გახარიამ ეპიდემიასთან ბრძოლაში საქართველოს წარმატების მიზეზი აღნიშნა: ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ჩვენი მეცნიერების მოსაზრებებსო. მერე პაუზა გააკეთა და დაამატა — მედიცინის სფეროშიო. აქცენტს მიხვდებით. ანტიპანდემიური კამპანია სწორედ იმიტომ იყო წარმატებული, რომ ამ შემთხვევაში მეცნიერებს მოუსმინეს. ეს კარგია, მაგრამ ენის პოლიტიკის სფეროში მეცნიერებს არავინ უსმენს, და ეს ცუდია. ამ კონტექსტში უპრიანია გავიხსენოთ, რომ უფრო ადრე პრეზიდენტმა თქვა, ქართველოლოგიას სახელმწიფოს ყურადღება სჭირდებაო. აი, სად არის სათავე იმ სიმდიდრის მოვლისა და გადარჩენისა, რომელიც ამჯერად ქართველური ენების სახით წარმოდგება ჩვენ წინაშე.

**— ბატონო ავთო, სახელმწიფო ენის კანონი ხომ გვაქვს. რატომ არ სრულდება?**

— სამწუხაროდ, 5 წელია მუდმივად ვიმეორებ და ვერავის გავაგებინე, რომ ჩვენ, დიახაც, გვაქვს სახელმწიფო ენის კანონი. საქართველოს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე სახელმწიფო ენას ორგანული კანონი იცავს. ამ კანონში უნიკალური ფორმულირებაა იმისა, რაზეც პრეზიდენტი საუბრობს.

უნდა ითქვას, რომ საერთოქართველური ენობრივი საგანძურის — ქართველური ენებისა და დიალექტების სიმდიდრის გამოვლენისა და კვლევის თვალსაზრისით ბევრ განვითარებულ ქვეყანას არ ჩამოვრჩებით. ეს დედაუნივერსიტეტისა და აკადემიური ინსტიტუტების დიდი მემკვიდრეობაა და ეს ტრადიცია დღესაც წარმატებით გრძელდება. არსებობს ქართველური ენების და დიალექტების დიდი და მდიდარი ლექსიკონები, არსებობს გამოჩენილი მეცნიერების მიერ შექმნილი ჩინებული სახელმძღვანელოები მეგრული, ლაზური, სვანური ენების შესახებ, ასევე სხვადასხვა სახის ლექსიკონები. პრობლემის მეორე მხარეა ცოცხალი ენის ფლობა და მისი გადაცემა თაობებს შორის. როცა ენის გადაშენების საფრთხეს ვახსენებთ, აქ ლაპარაკია იმაზე, ხდება თუ არა თაობიდან თაობაში ამგვარი სამეტყველო ენისა თუ დიალექტის გადაცემა. კერძოდ, ახალი თაობა კვლავ იყენებს თუ არა ამა თუ იმ ენასა და დიალექტს. ეს საყოველთაო პრობლემაა, რაც მთელ მსოფლიოს წინაშე დგას. ჩვენც, სამწუხაროდ, საერთო პროცესებს ვემორჩილებით. მე-20 საუკუნის შემდგომ ელექტრონული მედიის განვითარებამ, ინტერნეტის შემოსვლამ ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ ის ენობრივი ერთეულები, რომელთაც ფუნქციონირების არეალი თემისა და ოჯახის დონეზე აქვთ შემოფარგლული, არამედ ისეთი მცირერიცხოვანი ეროვნული ენებიც კი, როგორიც თავად ქართულია. შეიძლება პირდაპირ ითქვას: ქართველური ენები და დიალექტები დაცული იქნება იმდენად, რამდენადაც დაცულია თავად სახელმწიფო ენა. ვიცავთ ჩვენს სახელმწიფო ენას? — სამწუხაროდ, ვერ ვიცავთ. ჩვენ სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა ჯერ კიდევ არა გვაქვს შემუშავებული, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მივიღეთ!

**— სკოლებში მეგრული და სვანური ენების სწავლებაზე რა აზრის ხართ?**

— ქართველური ენობრივი სამყაროს სასკოლო წარმოდგენის შესახებ ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება სამეტყველო ენის საგნობრივ სწავლებას, ეს რთული პრობლემაა. უნდა გითხრად, რომ პირადად მე ამაზე გადაჭრილი პასუხი არა მაქვს. ეს განათლების მესვეურთა და სათანადო მიმართულების პოლიტიკოსთა სამსჯელო საკითხია, ამიტომაც ვლაპარაკობ სათანადო კომპეტენციის სახელმწიფო კომისიის აუცილებლობაზე. რეალურ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს რომ ვღირსებოდით, იქით გადაგამისამართებდით, მაგრამ არარსებულ მისამართზე როგორ მიგითითოთ?!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24





# ბაიდენმა სომხების გენოციდი აღიარა – სომხები ზეიმობენ, თურქები გლოვობენ

სამყაროში დღეს არსებული მწვავე პოლიტიკური ვითარების დარეგულირება დედა-ბუნებას შეუძლია. ექსპერტები, მართალია, ამის თაობაზე მტკიცებით ფორმაში არ საუბრობენ, მაგრამ იმედს გამოთქვამენ. ოპტიმიზმის საფუძველი მათ გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ინიციატივით გამართული კლიმატისადმი მიძღვნილი კონფერენცია გახლავთ. სამიტში 40-ზე მეტი ქვეყნის მეთაური და გარემოს დაცვის პასუხისმგებელი პირი მონაწილეობდა. კონფერენცია დისტანციურად ჩატარდა, რომელიც ანალიტიკოსებმა ნაყოფიერად შეაფასეს.

კონფერენცია, მართალია, კლიმატის საკითხებზე გაიმართა, მაგრამ განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია აშშ-ის დაბრუნება პარიზის კლიმატის ხელშეკრულებაში, რომელშიც მონაწილეობაზე 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უარი თქვა და 3 წლის წინათ გავიდა შეთანხმებიდან. საყოველთაო ინტერესს იწვევდა, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას ჯო ბაიდენის ინიციატივით გამართულ კონფერენციაში ჩინეთისა და რუსეთის პირველი პირები, ვისთანაც საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა აქვს აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციას. სამიტი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა გახსნა, რომელმაც ისაუბრა პლანეტაზე კლიმატის გაუმჯობესების მნიშვნელობაზე. სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ გარემოს მსოფლიოში ყველაზე მეტად ჩინეთი აბინძურებს. იმის შესახებ, რომ ჩინეთში უამრავი ამერიკული კომპანიების საწარმოები მუშაობს, არაფერი უთქვამს. სი ძინპინმა აღიარა, რომ მისი ქვეყანა დღემდე დიდი რაოვენობით ქვანახშირს მოიხმარს, რომელსაც მომდევნო წლებში ეტაპობრივად ალტერნატიული საწვავით ჩაანაცვლებენ.

მსოფლიო ქვეყნების მეთაურთა წინაშე ჯო ბაიდენის ერთ-ერთი პირველი გამოსვლა შედგა. მისი განცხადებით, სამყაროში დაგროვილ კლიმატურ პრობლემებს აშშ მარტო ვერ გაუმკლავდება, აუცილებელია ყველა ქვეყნის ძალისხმევა გარემოს გასაუმჯობესებლად. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა შეახსენა ჯო ბაიდენს, რომ აშშ-ს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია ბევრი ნაკისრი ვალდებულება. რუსეთის პრეზიდენტმა ვლარიმირ პუტინმა მსოფლიოს ქვეყნებს შესთავაზა, კლიმატის გასაუმჯობესებლად ერთობლივად მუდმივ რეჟიმში ითანამშრომლონ. ჯო ბაიდენი განსაკუთრებით გაახარა რუსი კოლეგის გამოსვლამ და მაღალი შეფასებაც მისცა. ამასთან, პოლიტიკურ ჭრილშიც განიხილა. მისი თქმით: „...პუტინის გამოსვლა ერთ-ერთი ნაბიჯია ორ ქვეყანას შორის არსებული ვითარების დარეგულირებისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებისთვის!" ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, რომელიც კლიმატურ საკითხებს კურირებს, პუტინი ეკოლოგიურ სამიტზე რაციონალურად გამოვიდა. კლიმატი ერთადერთი საკითხია, რაზეც მსოფლიოს ლიდერებს საერთო აზრი აქვთ, — განაცხადეს პოლიტოლოგებმა კლიმატური სამიტის დასრულების შემდეგ.

აშს-ის ელჩმა ჯონ სალივანმა, სავარაუდოდ, გაითვალისწინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რჩევა და სამშობლოში გაემგზავრა კონსულტაციებისთვის. მან თქვა, რომ „მალე დაბრუნდება", მაგრამ მოსკოვის განცხადებით, ის მაშინ დაბრუნდება, როდესაც ამისი დრო მოვა. რუსეთის ელჩი ანატოლი ანტონოვი კვლავ სამშობლოშია და როდის გაემგზავრება მოვალეობის შესასრულებლად. არავინ იცის. ასევე 10 ამერიკელი დიპლომატი უახლოეს დროში დატოვებს რუსეთს. პრეზიდენტი ჯო ბაიდენი იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთთან ვითარება მალე დარეგულირდება.

კიდევ ერთი ისეთი პოლიტიკური „სვლა" გააკეთა ჯო ბაიდენმა, რომელსაც მისი წინამორბედები თავს არიდებდნენ. სამი დღის წინათ მან აღიარა 1915 წელს ოსმალეთის მიერ განხორციელებული სომხების გენოციდი. მართალია, სენატმა 1,5 წლის წინათ აღიარა გენოციდი, მაგრამ დონალდ ტრამპმა (და არა მარტო მან) უარი თქვა მის აღიარებაზე. საერთოდაც, ყველა პრეზიდენტი გვერდს უვლიდა ამ საკითხს, რათა არ გაენაწყენებინათ ნატოში ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე თურქეთი.




ბაიდენის მიერ სომხების გენოციდის აღიარებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აშშ-ში. სომხური დიასპორა ზეიმობს, თურქები განაწყენებულები არიან. ზეიმობენ სომხეთში, განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრის უკვე მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლ პაშინიანი, რადგან მისი მოღვაწეობის დროს აღიარა აშშ-მ სომხების გენოციდი.

უკმაყოფილობას ვერ მალავენ თურქეთში. საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს აშშ-ის ელჩი. იქაური ხელისუფლების განცხადებით, პირველი მსოფლიო ომის დროს მსხვერპლი ორივე მხარეს იყო, სომხებიც ხოცავდნენ თურქებს და პირიქითაცო. ანკარაში უსაფრთხოების ზომების დასაცავად დროებით შეაჩერა აშშ-ის საელჩომ მუშაობა, დაიკეტა საკონსულოები. თურქეთიდან გავრცელებული ინფორმაციით, მათმა ქვეყანამ, შესაძლოა, უარი თქვას ნატოს მომავალ სამიტში მონაწილეობაზე. არსებობს მეორე ვარიანტიც — სწორედ ნატოს სამიტზე აპირებს რეჯეფ ტაიფ ერდოღანი მოსთხოვოს გადაწყვეტილებაზე განმარტება ბაიდენს. კვირას თურქეთის პრეზიდენტი ტელეფონით ესაუბრა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს. პრეზიდენტებმა დაგმეს ბაიდენის გადაწყვეტილება. ამის გარდა, პრეზიდენრმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა, შესაძლოა, აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ბაზას მოქმედების არეალი შეუზღუდოს. თუმცა დაზუსტებული ოფიციალური ინფორმაციები თურქეთის მხარეს არ გაუვრცელებია. ცნობილია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებაც უკმაყოფილოა და აპროტესტებს ბაიდენის გადაწყვეტილებას. როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოს უახლოეს მეზობელ ქვეყნებში, ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებოა.







პირველი შემთხვევა აშშ-ის ისტორიაში — პოლიციელი გაასამართლეს მოვალეობის შესრულების ბრალდებით! — ასეთ შეფასებას აძლევენ ექსპერტები გასულ კვირას ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილ ვერდიქტს. შარშან ვინმე ფლოიდის სიკვდილში დადანაშაულებული პოლიციელი დერეკ შოვინი უპირობოდ ცნეს დამნაშავედ. აშშ-ში ბევრი სასამართლო პროცესი გამართულა და მომავალშიც ბევრი გაიმართება, მაგრამ აღნიშნული განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო. ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის გამოცხადებისთანავე, გარდაცვლილის ოჯახს ტელეფონით ესაუბრა ჯო ბაიდენი. „...ვლოცულობდი, სასამართლოს სამართლიანი განაჩენი რომ გამოეტანა", — უთხრა ოჯახის წევრებს პრეზიდენტმა. მისივე თქმით, კანონზე მაღლა არავინ არ უნდა იყოს. ფლოიდის ძმამ დაუფარავი ტრაბახით თქვა: „...ახლა ქვეყანაში მოვლენებს ჩემი გარდაცვლილი ძმა მართავს". აქვე სათქმელია, რომ ფლოიდის ოჯახი 40 მილიონი დოლარით გამდიდრდა. აქედან ნაწილი, 27 მილიონი, სახელმწიფომ გადაუხადა, დანარჩენი სხვადასხვა შემოწირულობის სახით მიიღო ოჯახმა.

თეთრკანიანი მოსახლეობის გეგმაზომიერი დისკრედიტაცია 2015–16 წლებში დაიწყო აშშ-ს პრესაში, რამაც შედეგი უკვე გამოიღო. ყველა პოლიციელი დღეს აშშ-ში დამნაშავედ და მონსტრად ითვლება, შავკანიანებს კი ყველაფერი ეპატიებათ, მათთვის ხმის გაცემაც სახიფათოა. შავკანიანები ხელისუფლებასაც ემუქრებოდნენ — თუ სასამართლო არ გამოიტანდა მათთვის სასურველ განაჩენს, ქვეყანაში კვლავ დაიწყებოდა არეულობები. ამიტომაც აცხადებენ ამერიკელი ექსპერტები, რომ პოლიციელი ბრბოს შესწირეს მსხვერპლად.

განსაკუთრებულად ელოდებოდნენ მსოფლიოს ქვეყნების პოლიტოლოგები გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიმართვას. ასეთ დიდ ფორუმზე მსგავსი მკვეთრი განცხადებები პუტინმა პირველად გააკეთა. მათ შორის ისეთი, რომელზეც ყურადღება საქართველოს მოსახლეობამ, პოზიცია-ოპოზიციამაც უნდა გაამახვილოს.

„...ჩვენი ქვეყანა ღიაა, საერთაშორისო საზოგადოებასთან გვსურს მეგობრული, თანასწორი თანამშრომლობა. ჩვენ გვყოფნის და გვაქვს მოთმინების უნარი, პროფესიონალიზმი. მაგრამ თუ ვინმე ამას სისუსტედ ჩათვლის და შეეცდება წითელი ხაზის გადაკვეთას, რომელსაც ჩვენ დავაწესებთ კონკრეტულ სიტუაციებში, ღმერთმა დაიფაროს და თუ ვინმე შეეცდება პროვოკაციების განხორციელებას ჩვენს წინააღმდეგ, პასუხი ხისტი, სწრაფი და ასიმეტრიული იქნება... ჩვენ ხშირად არ ვპასუხობთ სხვადასხვა თავხედურ გამოხდომებზე, აღარაფერს ვამბობ არამეგობრულ ქმედებებზე, რადგან არ გვინდა დამაკავშირებელი ხიდების ჩატეხვა, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება ხიდების დაწვას და პროვოცირებას, ჩვენი ავის მსურველები ინანებენ ისე, დიდი ხანი რომ არ უნანიათ. საამისოდ ჩვენ გვაქვს ყველანაირი საშუალება, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება საიმედო ხელშია", — განაცხადა ვლადიმირ პუტინმა თავის გამოსვლაში.

ბელორუსში გრძელდება გამოძიება შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ფაქტზე. დაკავებულები გამოძიებას დაწვრილებით ჩვენებებს აძლევენ. თუმცა მწირე ინფორმაცია ვრცელდება მომხდარზე. ლუკაშენკოს გადმოცემით, გადატრიალების გამოაშკარავება ჩანერგილი აგენტის საშუალებით განხორციელდა. ამბოხისთვის 10 მილიონ დოლარზე მეტი იყო გამოყოფილი, აქედან 1 მლნ სნაიპერისთვის, რომელიც პრეზიდენტს მოკლავდა, — უთხრა ლუკაშენკომ ჟურნალისტებს. გასულ კვირას ლუკაშენკო მოსკოვში ჩავიდა რუს კოლეგასთან შესახვედრად. საუბარი 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მაგრამ თემები მინიშნებითაც კი არ გაუსაჯაროებიათ. ცნობილი გახდა მხოლოდ ერთი — ლუკაშენკო აპირებს გამოსცეს დეკრეტი — თუ მოხდება მისი, როგორც პრეზიდენტის ლიკვიდაცია, ქვეყნის მართვა უშიშროების საბჭოს გადაეცემა. ვერაფერს იტყვი, საინტერესო ანდერძია. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება აღკვეთილ ტერორისტულ აქტს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# სკანდალური ინფორმაცია: ევროპარლამენტარების მედიაციით გამართულ შეხვედრებს ვლადიმირ პუტინი არალეგალურად ესწრებოდა

## მოსკოვში, წითელ მოედანზე, მიხეილ სააკაშვილის და მისი თანამებრძოლების ძეგლის დადგმას აპირებენ



ამ ხუთ თვეზე გაჭიმული მოლაპარაკებების ბოლო რაუნდში ქართველი ოპოზიციის ზურგს უკან დამალული ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინი გამოჩნდა.

ევროპელი მედიატორები პუტინის დანახვაზე გაოგნდნენ და გაოცებულებმა იკითხეს: თქვენ აქ საიდან გაჩნდით, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, ძვირფასო?

— რას ჰქვია, საიდან გაჩნდი? თქვენ არ მამჩნევდით, თორემ ამ ხუთი თვის განმავლობაში მე სულ აქ ვიყავი. ხუთი თვეა მე გელაპარაკებით თქვენ ამ ოპოზიციონერების სახელით, თქვენ კიდევ აზრზე ვერ მოხვედით. ნიკა მელიაც მე ვიყავი და ზალიკო უდუმაშვილიც მე ვარ. გირჩი ზურაბაც მე გახლავარY და მამუკა ხაზარაძეც თავის ბადრიანად. გიგიც, გიგაც, „ჩანგალაც“ მე ვარ და შალიკოს, აკოც მე ვარ და თაკოც, ნინოც და სალომეც. კიევიდანაც მე ვრეკავ მიშიკოს სახელით და მე ვიძლევი ინსტრუქციებს. ნიკაც მე ვარ, ნოდარიკოც, ინგაც. „კაროჩე გავარია“, ჩემი პირადი „სასტავია“ ეს „შანტრაპა“, თქვენ რომ ქართულ ოპოზიციას ეძახით. ერთი ამ იაგოს და ვახოს ვერ მოვუხერხე ვერაფერი, არ ვიცი, რა სჭირთ. „ნაპრავოს“ ვეუბნები, ესენი „ნალევო“ უხვევენ. „ვპერიოდ“-მეთქი და ესენი „ზადნის“ აძლევენ. ნუ აწევინებთ „ტრუხა“ პლანს, კაცო, ნორმალური პლანი ჩამოუტანეთ, თორემ დამაწყდა ნერვები. მოკლედ რომ მოვჭრათ, აქ ვიყავი მე და სულ თავიდან ბოლომდე ყველაფრის საქმის კურსში ვარ.

— კი გვეეჭვებოდა, რომ აქ იყავით, მაგრამ ხმამაღლა ვერ ვამბობდით. გვეშინოდა, რამე არ შეგვშლოდა. შარლმა კი თქვა ერთი-ორჯერ, პუტინის სუნს ვგრძნობ მანდ და ფრთხილად იყავითო. ყავას ხომ არ ინებებთ, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ?

— ყავა არა, კომპოტი... სად მცალია ყავისთვის? ხუთი თვეა ყავას სვამთ თქვენ და გამოვიდა რამე აქედან?

— კი, ვცდილობთ, მაგრამ რა ვქნათ, ვერ გავაგებინეთ ამ ოპოზიციას ვერაფერი, ცოცხალი თავით არ შედიან პარლამენტში.

— გეთხოვათ, მერე, ჩემთვის და ერთ დღეში მოგიგვარებდით მაგ საქმეს. ჩემი ერთი სიტყვა და სიმაღლის მიხედვით დაეწყობოდნენ და ისე შელაგდებოდნენ პარლამენტში.

— უთხარით მერე, შემოვიდნენ ამ დასაწვავ პარლამენტში, თორემ დაგვენგრა ეს დემოკრატიული ოჯახი. ერთპარტიული პარლამენტი სად გაგონილა?



— კი ვეტყოდი, მაგრამ ნაწყენი ვარ თქვენზე. რა არის ეს, ჩემი სახელით რომ აშინებთ ოპოზიციონერებს — შედით პარლამენტში, თორემ პუტინი მოვაო, რომ ეუბნებით? საიდან უნდა მოვიდე, აქ არ ვარ? მიმოიხედეთ გარშემო, ყველგან მე არ ვარ? თქვენ კიდევ, ევროკავშირში უნდა შეგიყვანოთ, ნატოში უნდა გაგაწევრიანოთო, ეუბნებით ამ გულუბრყვილო ქართველებს და ამათაც სჯერათ. ჩემთან ერთად უნდა შეიყვანოთ ევროკავშირში და ჩემთან ერთად უნდა გააწევრიანოთ ნატოში?

— თქვენთან ერთად იყოს, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო.

— შუტიტე, ბრატცი? საზუმაროდ გაქვთ საქმე, ხომ იცით... 15 მაისს რომ დავძრავ ჩემს ლაშქარს, მერე ვნახოთ, ხუმრობის ხასიათზე თუ იქნებით.

— ეს 15 მაისი რას აიჩემეთ? 9 მაისი არ გერჩივნათ? დენ პაბედი...

— მე კი მერჩივნა, მაგრამ მიშამ აიკვიატა — ციფრი ხუთი უნდა ერიოს მაინცდამაინცო.

— თქვენ და მიშა შერიგდით?

— როდის ვემდუროდით ერთმანეთს? ცოლ-ქმრის ჩხუბი მეზობელს მართალი ეგონაო, ისე გჭირთ თქვენც... მიშას იმდენი დამსახურება აქვს რუსეთის წინაშე, წითელ მოედანზე ძეგლი უნდა დავუდგა, შეპირებული ვარ... რაც მან გაგვიკეთა, იმდენი სუვოროვს არ გაუკეთებია რუსეთისთვის. თუმცა, მარტო მას არ ეკუთვნის ძეგლი, მის თანამებრძოლებსაც ეკუთვნით. ასე რომ, ჯობია, მონუმენტური კომპლექსი გავაკეთებინო — შუაში მიშას დიდი, მაღალი ძეგლი, გარშემო ბოკერიას, ოქრუაშვილის, მერაბიშვილის, ბურჯანაძის, ხოშტარიას, ხაზარაძის, ვაშაძის, ჯაფარიძის, კიტოვანის, იოსელიანის, სიგუას, სხვებისა და სხვების მომცრო ძეგლები იქნება. კომპლექსის სახელიც მოფიქრებული გვაქვს — ქართველები, რომლებიც რუსეთისთვის იბრძოდნენ. ისე, თქვენ თუ იცით, ვის წინააღმდეგ იბრძვიან ქართველები ყველაზე უფრო თავდაუზოგავად და მამაცურად?

— არა, არ ვიცით.

— ქართველების და საქართველოს წინააღმდეგ! ასე იყო ადრე, ასე არის ახლაც. ერთმანეთი ძალიან არ უყვართ, მაგრამ სხვა, უცხო, უფრო უყვართ. ასე მაგალითად, მე ძალიან ვუყვარვარ, თუმცა უცხო ნამდვილად არ ვარ ქართველებისთვის! უცხო როგორ ვარ, ჩემს წინაპრებს იმდენი სისხლი აქვთ დაღვრილი საქართველოსთვის.

— ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ქართველებს უყვარხართ?

— დიახ!

— ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ ამ ქვეყანას გაუკეთეთ, თქვენ მაინც ამტკიცებთ, რომ ქართველებს უყვარხართ?

— დიახ! რატომ გიკვირთ? ეს ქართული ხასიათის თავისებურებაა — რაც უფრო მეტ სიკეთეს გაუკეთებ, მით უფრო ნაკლებად უყვარხარ, რაც მეტ ტკივილს მიაყენებ, მით უფრო მეტად უყვარდები! ბიძინას და მიშას შემთხვევა გაიხსენეთ და მიხვდებით, რასაც ვამბობ.

— ჰო, მაგრამ, ძალიან ბევრი გაგინებთ თქვენ საქართველოში...

— იცით, რაშია თქვენი პრობლემა და რას ვერ ხვდებით? ვინც ყველაზე ხმამაღლა მაგინებს, სწორედ ის არის ჩემიანი. ვინც ყველაზე მეტი კატეგორიულობით ამტკიცებს, რომ პროდასავლური ორიენტაციისაა, სწორედ ის გახლავთ პრორუსული ორიენტაციის. მთელი მსოფლიო ლავრენტი პავლოვიჩის მიერ მემკვიდრეობად დატოვებული ჩვენი აგენტურული ქსელითაა დაქსელილი. აქეთაც ჩვენ ვართ, იქითაც, შუაშიც, მარცხნივაც, მაჯვნივაც. საქართველოშიც ასეა და ამიტომაც არ გამოგივიდათ არაფერი. თქვენი რომ გეგონათ, ზუსტად იმ ხალხმა გაგიწიათ მედგარი წინააღმდეგობა, იმიტომ რომ ისინი არასოდეს არ ყოფილან თქვენები — ისინი ჩვენები არიან!

— შეცდომაში გინდათ შეგვიყვანოთ, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ? ეჭვი გინდათ დათესოთ, ადამიანებისადმი ნდობა გინდათ დაგვაკარგინოთ?

— როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ და რაც გინდათ, ის იფიქრეთ. მე წავედი. თუ რამეში დაგჭირდეთ, დამირეკეთ. ვილაპარაკოთ, ვისაუბროთ. დარწმუნებული ვარ, შევთანხმდებით. როდის არ შევთანხმებულვართ, რომ ახლა ვერ შევთანხმდეთ?

პუტინი ადგა და გასასვლელისკენ გაემართა, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ეს ერთი პუტინი რომ კარებისკენ წავიდა, მეორე პუტინი, უფრო ზუსტად, მისი ორეული, სადღაც ბოკერიასა და სამადაშვილს შუა გაკვეხებული, ადგილზე დარჩა.

რაღაცნაირი გამჭვირვალე იყო, თითქოს ჰაერი შემოხაზეს შავი კონტურებით და იქიდან გამოჭრესო.

მეორე პუტინი კარებს უახლოვდებოდა.

უცნაური სიარული იცის ამ კაცმა — ბეჭებს ისე მოარხევს და ისე მოდის, თითქოს სიარულშივე გაშინებს და გაფრთხობს. პუტინმა კარი გამოაღო, შემოტრიალდა, დარბაზში მსხდომებს ხელი დაუქნია და გავიდა.

გამომეღვიძა. ინგა გრიგოლის ხაფმა ხმამ გამომაღვიძა.

— ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეხვედრა, კრისტიან დანიელსონის მედიაციით, უშედეგოდ დამთავრდა — შეთანხმების ტექსტს არც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი არ მოაწერა! — საზეიმო ხმით იუწყებოდა ქალბატონი ინგა.

— ეგ ხომ ვიცოდი... აგერ, სიზმარში ვნახე ახლახან, — გავიფიქრე და ისევ ძილს მივნებდი.

კარგი რამ არის ძილი — ისეთი რაღაცები შეიძლება გაიგო, რაც ცხადში არც კი დაგესიზმრება.

დაესიზმრა
**დავით ქავთარია**



# მწყემსი ირაკლა: „მივალ მივყვები მე ჩემს ფარასა“

## პოლიტიკური ნოველა



გიჟივით გამოეღვიძა. მთელი ღამე ბორგავდა, ვერ ისვენებდა, ფეთი შეჰყროდა. გვიან ჩაეძინა, მაგრამ ამას ძილი კი არა, ძილქუში ერქვა. საღამოს დაურეკეს, ხელის მოწერას აპირებენო. ამან თავი გაიგიჟა, არ არსებობსო, მე და შალოს პირობა დაგვიდეს, პარლამენტში არ შევალთო, ბიძინა ივანიშვილის ხელის ბიჭები არ გავხდებითო, „ოცნების“ დედაც ვატირეთო. ამან რო გათიშა ტელეფონი, ამ შემტყობინებელმა, ახლა იმან დარეკა, მეორე შემტყობინებელმა, ანუ კეთილისმსურველმა. იმას კაცის ხმა ჰქონდა, ამას – ქალისა:

– ალიო, ირაკლ, სალამი და ალეიქუმი, ჩემო ძვირფასო, ჩემო გმირო, ცოტნე დადიანო, დავით აღმაშენებელო... თაკო ვარ, ვერ მიცანი?

– ჰო, ალიაქოთზე გიცანი, მაშ, – ჩაიბუყბუყა ირაკლამ და ერთი გემრიელად დაამთქნარა.

– ბიჭო, მე, თაკოს, ჩარკვიანს, საქართველოს მომავალ დედოფალს ღალატი მეწვია უცაბედად, თავს მეხივით და მეტეორივით კი დამეცა, მაგრამ ჰმ... ეგეთები გადამიტანია? ამასაც გადავიტან!

– რა ხდება, ჩემო გაუტეხელო თანამებრძოლო, წელან შემატყობინეს, ხელს აწერენო, პარლამენტში შეთრევას აპირებენო.

– ჰო, ბიჭო, ყოველი მხრიდან ღალატსა და თავზე დამხობილ წუმწუმასა აქვს ადგილი... რუსეთის ხელი ურევია ამ ყველაფერში, პუტინის დამპალი ხელი. გუშღამ ჯუნიორი ძალიან წვალობდა, უცნობი ზარები შემოსდიოდა, წინ პლიუსი რო უწერია ხოლმე, ეგეთი, ოთახიდან გარბოდა, ტუალეტში იკეტებოდა და ვიღაცას ეჩუკჩუკებოდა. ნუ, ეხლა, ხო გასაგებია?!

– გასაგებია, ან პუტინი იქნებოდა ხაზზე, ან კიდე ლავროვი!

– მე უფრო ლავროვზე ვეჭვიანობ, ნინო ბურჯანაძემ გააცნო თურმე და იმის მერე აეგრე ეჩუკჩუკება, მე რა ვიცოდი? პრემიერ-მინისტრობა შევთავაზე და არ ინდომა, ეგ ნორმალურია?!

ირაკლამ ტელეფონი გათიშა და დივანზე მიაგდო. თვალები ჯერ გადაატრიალა, შემდეგ კი გადმოატრიალა, ამას წინებზე ნიკოლოზ მაჭუტაძემ უთხრა, თუ გინდა, კარგი რეზონი გქონდეს, როცა გაიღვიძებ, თვალები ჯერ უნდა გადაატრიალო, შემდეგ კი გადმოატრიალოო, ანუ ჯერ უნდა გადაპრაწო, შემდეგ კი გადმოპრაწოო. ეს ერთგვარი ვარჯიშია როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე ოჯახურ ყოფაშიო.

ირაკლამ თავი სინანულით გადააქნია, რა კარგი სიტუაცია იყო შალოს ფანჩატურში... იკრიბებოდნენ ძველი მეგობრები, ერთმანეთს დარდებს უზიარებდნენ, ჩაის წრუპავდნენ, ბუტერბროდებს მიირთმევდნენ, ძველ დროს იხსენებდნენ. ეხლა კი რა გამოდის, ფანჩატურში აღარ შეიკრიბებიან, ჩაის აღარ მოწრუპავენ, ძველ დროს ველარ გაიხსენებენ, განა რამე მადლი აქვს ეგეთ ცხოვრებას? ჰა, განა ფასი არ დაჰკარგა სიცოცხლემ? არა, რა გამოვიდა? ბიძინა ისევ აქ არი, ისევ ბლატაობს, ისევ მაგისი ხალხია ზემო თაროს, ირაკლას და მის თანამოაზრეებს რა ვირის თავ-ფეხი, რა კურკლი და მურკლი? ისე, ბავშვობიდან წვალობს ირაკლა ერთი რაღაცის ამოხსნაზე... რა განსხვავებაა კურკლსა და მურკლს შორის? კურკლი რაც არი, მიხვდა, გაიგო, მაგრამ მურკლი რა არი, ვერა და ვერ ამოხსნა. ირაკლას გაახსენდა, ერთხელ, როცა ათი-თერთმეტი წლისა იქნებოდა, შეიძლება თორმეტი-ცამეტისაც იყო, ხელში ქაღალდი ჩაუვარდა. დააკვირდა ამ ქაღალდსა და როყიოდ ამოიკითხა: „დალაი ლამას ბრძნული ჰაზრები“. სწორედ იქ ეწერა, იმ ქაღალდზე, მეცხვარემ იცის კურკლისა და მურკლის მნიშვნელობაო. იმ დღის მერე ჩაეთესლა ირაკლას, რომ წასულიყო მეცხვარეობაში და მწყემსადაც ემუშავნა. თუმცაღა... ვინ დააცადა? განა მამულზე ფიქრმა მისცა საშველი? მიდი, კაცო, გაიდე კომბალი მხარზე, გაჰყევ ფარას, გაზაფხულზე გარეკე მთისკენ, შემოდგომაზე გამოჰყევ, გამორეკე ბარისკენ. იარე იალაღებზე, შეჰყევ თვალუწვდენელ მთებსა და აკვნესე სალამური პატრიოტულად. განა ამას რამე შეედრება? რა პოლიტიკა, რის პარლამენტი, რაის დეპუტატობა, რომელი მინისტრობა? აჰა, ეგე, ვითომ ერთად იყვნენ, ვითომ თანამებრძოლობდნენ, ერთადა სჭამდნენ, ერთადა სვამდნენ, ერთადაც ჰკურკლამდნენ, მაგრამ რა გამოიდა? ისევ ღალატმა ატკინა გული, ისინი შევიდნენ, ეს კიდე დარჩა ისევ გარეთ.

●

ირაკლა სარდაფში ჩავიდა, „ვიკლუჩატელი“ ხელის ცეცებით მოძებნა. გაუჭირდა, წლებია, აქ არ ყოფილა. „შიფანერკიდან“ სამხედრო ტანისამოსი და ბათინკები გადმოიღო, დაბერტყა, მოიზომა, წაიღიღინა: ჰმ... მივალ მივყვები მე ჩემ ფარასაააა!

ირაკლა „ტაბურეტკაზე“ ჩამოჯდა, თავი ჩაჰკიდა, თავში მოგონებები წამოუტივტივდა... უფრო სწორედ, ლიტერატურული მოგონებები... განა ალექსანდრე ყაზბეგი არ მუშაობდა მწყემსად? განა ვისზე რა ნაკლები იყო? ჰოდა, ესეც აეგრე იზამს... ეგებ მთაში მატყლის საყიდლად ფრანგები ისევ ამოვიდნენ? ეგებ მივიდნენ ირაკლასთან და ჰკითხონ რამე? ეს რომ ფრანგულად გაუბამს, აეგ იქნება დიდი მაზალოობა. ისინი გაოცდებიან და ჰკითხავენ, საიდან იცი ფრანგულიო? ჰმ... ირაკლა ამაყად ეტყვის, აქ, მთაში ყველა მწყემსი ჩემზე უკეთ ფლობს ფრანგულსო, აღარაფერს ვამბობ ინგლისურზე, ესპანურსა და იტალიურზეო. განა ყაზბეგი თავიდან ყაზბეგი იყო? ჩოფიკაშვილმა აიღო ეგეთი გრანდიოზული ფსევდონიმი და გაუმართლა კიდევაც, მთელ დუნიაზე ცნობილ კაცად გადაიქცა. ირაკლას მომენტალურად გაუკვირდა კიდევაც, რა მაგარი განათლებული ვყოფილვარ, ნეტავ ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია საიდან ვიციო? მერე გაახსენდა, როგორ გადაამტვრია ქართულის მასწავლებელმა თავზე სახაზავი, შე დებილო, ყველგან თოფი რანაირად გელანდებაო? თოფჩიკაშვილი კი არა, ჩოფიკაშვილიო! შეიძლება დადგეს დრო, ირაკლამაც გადაიკეთოს გვარი. თუკი მისმა წინაპრებმა ერთხელ უკვე გადაიკეთეს, ეხლა რაღა პრობლემა უნდა იყოს? არც არაფერი! კაცი იყავ კაცური და რა გვარიც გინდა, იმ გვარისა იყავ, სადაც გინდა, იქ ილოცე!

ალბათ დადგება დრო, როცა ირაკლაც დასწერს: მას შემდეგ, რაც ფანჩატურელმა ამხანაგები ღალატისა და არაკაცობის გზას დაადგნენ, გადავწყვიტე, მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიში და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლად თან სდევს. მე თვითონ, როგორც მთის კაცს, მყვანდა რამოდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კიდევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მივუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამგვარად შევიქენ მეცხვარე. რასაკვირველია, ჩემი განზრახვა ბევრმა შეიძლება მასხარად აიგდოს, ეგეთ სახელიან კაცს მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ ეს იმ პოლიტიკოსების სინდისზე იყოს, რომლებიც თვეების განმავლობაში შალოს ფანჩატურში ისხდნენ და ყვერებს იფხანდნენ. ეხლა დაუწყებენ ჭკუის სწავლებას, გამოკითხვასა და ჩიჩქვნას, რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, რა გამოცდილება გაგაჩნიაო? ხომ არ არი ეს იძულებითი წასვლა, ხომ არ ურევია ამ საქმეში ბიძინას ხელიო? მე არავის არაფერს ვეკითხები და მით უფრო ბიძინას, ეგღა მაკლიაო, გამოსცრა კბილებშუა ირაკლამ. ტანისამოსი აიღო, ბათინკები და ყველა საჭირო ხარახურა „მეშოკში“ ჩაყარა.

ირაკლას ისღა დარჩენია, კარგად მოიფიქროს, საით, რომელი მიმართულებით უნდა დურთოს თავი, ჭაჭუნის აღკვეთილის საძოვრებისკენ თუ ალვანისკენ? სწორედ ეხლა უნდა ჩაიცვას მეცხვარის ჩექმები და პლაში, ეხლა იწყება სეზონი, თუ ამ სეზონს არ აუწყო ფეხი და ჩამორჩა, მერე წამოაძახებენ, ცხვრის გადარეკვას თავი აარიდაო, სადაც ვაჟკაცობა და თავდადება იყო საჭირო, იქიდან გაიქცაო, მზამზარეულს მიუჯდაო... არადა, ირაკლას თავადვე სძულს, მზამზარეულ „სტოლს“ რომ მიუჯდებიან ხოლმე, ფუჰ, ეგ რა ვაჟკაცობაა, რა გაგება და რა ქართველობაა?!

ტელეფონის ზარი გაისმა. ირაკლა ფიქრებიდან გამოერკვა.ისევ ის რეკავდა, ცოტა ხნის წინ რომ დარეკა. ერთ ხანობას იფიქრა, არ ვუპასუხებო, უკვე სულერთიაო, აღარავინ მაინტერესებსო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც გადაძალა და ეკრანს თითი ატაკა:

– ჰო, ალიო.

– ისევ მე ვარ, ახალი სტრატეგია დავწერე და მინდა, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე წარგადგინო.

– რა სტრატეგია, აღმაშენებელი?

– არა, როგორ გეკადრება, უფრო იქითამდელი, ადრეული, გენაცვალე... აბა, რაააა!

ჩემი აზრით, შენ „რაზგონი“ გჭირდება, ადი მთაში, არეკე ცხვარი და მერე იქიდან გამოექანე, ეს იქნება „სტრატეგია გორგასალის“ დასაწყისი. მე გამოვალ ტელევიზორში და მოსახლეობას ავუხსნი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შენი გამოქანება თუშეთიდან ან ხევსურეთიდან. შენ იმდენად დიდი პიროვნება ხარ, მთაწმინდა ძალზედ ვიწრო და მოკლეა.

– არის შენს სტრატეგიაში რაღაც რომანტიკული, გამოქანების პროცესი მომწონს უფრო მეტად.

– ხომ ვარ გენიოსი?

– კი, რა თქმა უნდა, არ უნდა მაგას ჟიჟინი.

– ჰოდა, ჯოს, ჯოს, ჯოს!

●

ავტორი იმედოვნებს, რომ ბატონ ირაკლას სხვა ე.წ. ოპოზიციონრებიც მიბაძავენ, ზოგი მეცხვარეობას მიხედავს, ზოგი – მეღორეობას, ზოგი – მეჯორეობას, ზოგი კიდევ მებადრიჯნეობას. ყველა პროფესია საპატიოა, არც ერთს არ ვაკნინებთ, მაგრამ არ შეიძლება წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები საკანონმდებლო ორგანოში ისხდნენ და უაზროდ იბრიქებოდნენ. სანამ ამ ქვეყანაში ყველა თავის ადგილს არ დაიკავებს, მანამ არაფერი გვეშველება.



ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა
**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61

„შენა ხარ ჩემი ჯილდოც,
სასჯელიც,
გულზე ახლოს ხარ
და ღმერთზე ზემოთ.
ჩემო ტანჯულო,
ჩემო მტანჯველო,
დაულეველო
სამშობლოვ ჩემო!
შენთან ვარ, მაგრამ
მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს
საჭმელს მშიერი
და ამ პატარა
მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნებლად
ვარ ბედნიერი“.

# „საით ან რატომ?“



ოთარ ჭილაძის ამ დიდებული სიტყვების საპირწონედ გავიხსენოთ ავადსახსენებელი ედუარდ შევარდნაძის სიტყვები სატელევიზიო ინტერვიუდან იური ციკოლიასთან: „სწორია, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ ადრე უნდა გაგვეკეთებინა, ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი, ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციული ფაშიზმი და განვახორციელეთ კიდეც. როდესაც ბოროტ ძალას ებრძვი, ზედმეტია წუწუნი გაუპატიურებაზე და მსხვერპლზე. მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო“.

როგორც ვხედავთ, იუდა შევარდნაძეს ძალზედ სპეციფიკური გაგება ჰქონდა დემოკრატიის! „სამშობლოც“ თავისებურად ესმოდა, თუკი ესმოდა, საერთოდ. ეს იყო პირწავარდნილი კომუნისტური ნომენკლატურის ნარჩენი.

XX საუკუნის ბოლოს მისმა ბოროტმა მმართველობამ დიდი ხნით დაგვწია უკან. აფხაზეთის მკვიდრნი კი გაგვანადგურა. თითქოს დაწყევლილები ვიყოთ. არ გვეღირსა აფხაზეთზე მოფიქრალ-მზრუნველი მთავრობა. ქართული მიწა ოკუპირებულია. ოკუპანტი ხანგამოშვებით გვიკლავს საჯიშე ბიჭებს. სოჭი, საინგილო, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი, სამაჩაბლო — რამდენი სამუდამო და მოუნელებელი ჭრილობა ატყვია ქართველი კაცის სულს...

რეალობა მძიმეა: ჩვენ ყოველდღიურად ვეგუებით დანაკარგს. დღევანდელ ქართულ პარლამენტში 150 დეპუტატიდან ერთადერთი ქალბატონი ადა მარშანია ახსენებდა აფხაზეთს. ვითომ სხვებს არავითარი კავშირი არ ჰქონდეთ და არ ევალებოდეთ სამშობლოს ტკივილის გახსენება მაინც.

ზოგადი საუბარი რომ არ გამომივიდეს, რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მივაღწიეთ იმას, რომ 2014 წელს აღვადგინეთ აფხაზეთის ტელემაუწყებლობა. ტელეარხმა, რომელიც დევნილ საზოგადოებას უყვარდა და აინტერესებდა, 2017 წლამდე იარსება. ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ტელეარხებმა (მათ შორის, საზოგადოებრივმაც) არ მოგვცეს ეთერში გასვლის უფლება. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არც ერთ დეპუტატს ამ თემაზე თავი არ შეუწუხებია. აფხაზეთის ინტელიგენცია შევხვდით ბატონ გია ვოლსკის, რომელიც დაგვპირდა, რომ 2019 წლის იანვრიდან აფხაზეთის ტელემაუწყებლობა საზოგადოებრივ მაუწყებელზე განახლდებოდა.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

რა დავაშავეთ ასეთი, რომ კვირაში ერთ საათს გვამადლიან?! ძალაუნებურად მეფიქრება, რომ დევნილები არავის აინტერესებს.

ახსენდებათ მხოლოდ არჩევნების დროს. აბა, რა არის ეს, თუ არა დევნილთა იგნორირება ან უარესი — დისკრიმინაცია?! თუმცა, როცა 28 წლის განმავლობაში ამ სტატუსის მქონე ადამიანების ნახევარმაც კი ვერ მიიღო ბინა. აფხაზეთის მთავრობის ყოველწლიური 19-მილიონიანი ბიუჯეტიდან ერთი მილიონი მაინც რომ გამოეყო 28 წლის განმავლობაში 26 ცხრასართულიანი კორპუსის (თუნდაც შავი კარკასი) აშენება მაინც, ხომ გახდებოდა შესაძლებელი?! არ მახსენდება არც ერთი აქცია ან მიტინგი აფხაზეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი (ადა მარშანიას გარდა). მხოლოდ ეს მიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მონურად გასუსულებს ურჩევნიათ საქართველოს ცენტრალური მთავრობის მარიონეტის როლში ყოფნა.

2021 წლის 31 მარტს საქართველოს პირველ პრეზიდენტს რომ დასცლოდა 82 წელი შეუსრულდებოდა. მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა მისი მკვლელობიდან. ქართველმა ერმა დღემდე არ იცის დამკვეთის და შემსრულებლის ვინაობა. გამოძიება არ მიმდინარეობს. მალე, ალბათ, ხანდაზმულობის გამო საქმეს ტაბუ დაედება. თვალებს არ ვუჯერებდი, როცა საქართველოს სხვადასხვა არხებზე ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეებსა და მტრებს ვხედავდი, ერთმანეთს რომ ასწრებდნენ ფარისევლობასა და სიტყვაკაზმულობაში.

ადრე, ოჯახიდან ერთ-ერთი მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ, მეორეს ჰქონდა უფლება, მიეღო გარდაცვლილი მარჩენალის პენსია (თუმცა რა პენსიაა 230 ლარი), თუკი მას მეტი ჰქონდა. მთელ მსოფლიოში ეს ასეა, საქართველოს გარდა. ჩვენთან ამ წესით პენსიას ღებულობენ მხოლოდ უმაღლესი ძალოვანი სტრუქტურების და პარლამენტართა ოჯახის წევრები.

2016 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატმა ეკა ბესელიამ კატეგორიული უარი განაცხადა ჩემთან შეხვედრაზე, ხოლო ირაკლი სესიაშვილმა მომიგო, ამ კანონის მიღებაში აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული. აი, ბატონებო, დეპუტატმა, რომელიც ტელეეკრანიდან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა მე, მამისტოლა კაცს კითხვაზე — რატომაა პარლამენტართათვის, მოსამართლეთათვის, პროკურორებისთვის ცალკე და საზოგადოებისთვის ცალკე კანონი-მეთქი, ასეთი უტიფარი პასუხით გამომისტუმრა. ძნელია, მით უფრო, ჩემს ასაკში, როცა ადამიანზე, თანაც, შენ მიერ არჩეულ დეპუტატზე წარმოდგენას და ნდობას კარგავ.



საქართველოში უფრო მეტი პრობლემა არ არსებობს, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის საკითხები. სამწუხაროდ, გამოკითხვამ აჩვენა, რომ ხალხს ეს პრობლემა მეორეხარისხოვნად მიაჩნია. სოციალური პრობლემები კი პირველხარისხოვნად. ეს საშიში მოვლენაა: ხვალ და ზეგ, სავარაუდოდ, მეათეხარისხოვანი გახდება და ეს ყველაფერი ხვალ ყოველი ჩვენგანის ბრალი იქნება: როგორ დავივიწყოთ ან როგორ შევეგუოთ



უაფხაზეთობას, უსამაჩაბლოობას და ამას უმატებენ დავით გარეჯს? როგორ? საით და რატომ მივექანებით?! ბარაბას გზაზე შემდგარნი ინერციით ვადგამთ ნაბიჯებს უფსკრულისაკენ. განა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ არ მიიღო 1990 წლის 28 ოქტომბერს დადგენილება, რომ საქართველო არ შევა არც ერთ სამხედრო ბლოკში. მაგრამ დღეს ვისღა ახსოვს მამულიშვილისა და პირველი პრეზიდენტის ეს დადგენილება?! მისი დამხობის შემდეგ მოსული ყველა ხელისუფლება ძალით ეტენება ნატოსა და ევროკავშირს.

სანამ ეროვნული სულით გამსჭვალულ ხელისუფლებას არ მოვიყვანთ, ჩვენს სამშობლოს არაფერი ეშველება. ამიტომ იყო ძალიან მნიშვნელოვანი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნებში ქართველი ხალხი უნდა ვყოფილიყავით, როგორც არასდროს, თანმიმდევრული, პრინციპული, კატეგორიული, ჩვენ არ უნდა დაგვეშვა ბოროტი ძალების პარპაში, რომელიც დღესაც გრძელდება. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებს ვანდოთ საქართველოს მომავალი.



არის ასეთი გამოთქმა — „წინ, წარსულისკენ!“. ხომ არ ჯობია, ჩვენც წინ, წარსულისკენ მივიხედოთ, იმ წარსულისკენ, სადაც დიდი ქართველები გვეგულებიან?!

ფარავდეს დედა ღვთისმშობელი ჩვენს ნატანჯ სამშობლოს, ჩვენს ერს. უკუნითი უკუნისამდე აწ და მარადის. ამინ!

**ორესტ (ზაურ) ბედია**
სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ტუ-134-ის ხომალდის ყოფილი მეთაური, ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე, აკადემია „ქალდეას“ ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე



# ორმაგი სტანდარტი

## ვინ და როგორ მუშაობს საქართველოში ქართული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ

არსებობს ასეთი ცნობილი გამონათქვამი: ნგრევა ადვილია, აშენებაა ძნელი! და ეს ეხება არა მხოლოდ მშენებლობას, როგორც ასეთს, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებსაც. საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა, სამმხრივი რეგიონალური პარტნიორობა „ბაქო-თბილისი-ანკარა" გახლავთ ამის კლასიკური მაგალითი. ეს ურთიერთობები მოიცავს შეთანხმებულ სამართლებრივ ბაზას, მასშტაბურ ინვესტიციებს, ეკონომიკურ ბაზისს, რაც გულისხმობს ისეთ უზარმაზარ პროექტებს, როგორიც არის „ბაქო-სუფსა" და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენები, სამხრეთის გაზის დერეფანი, „ბაქო-თბილისი-ყარსი"-ს სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც დღესდღეობით, ტრანსკასპიურ სატრანსპორტო ბმულთან ერთად, გახლავთ სუეცის არხის



საკმაოდ ანგარიშგასაწევი ალტერნატივა...

აი, აწორედ ამ ურთიერთობების დანგრევას ცდილობენ იაფფასიანი პროვოკაციების მეშვეობით. თანაც, აშკარად, უცხოური გავლენის ქვეშ. აქ ყველა იარაღს იყენებენ: საქართველოში დავით-გარეჯის, ხოლო აზერბაიჯანში – ქეშიკჩიდაღის სახელით ცნობილი მონასტრით სპეკულირება, ვითარება ქვემო ქართლში, სადაც კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი აზერბაიჯანელები, აშკარა სპეკულაციები და ფეიქი (სიყალბე), ასევე „მინიშნებები" შაჰ-აბასის დროინდელ ისტორიულ მოვლენებზე, რაზედაც თანამედროვე აზერბაიჯანი ვერაფრით ვერ აგებს პასუხს...უკვე მრავლად იყო მცდელობა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა დადანაშაულებისა კორონავირუსის გავრცელებაში და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული შეურაცხმყოფელი ბრალდებები. საქართველოს აზერბაიჯანული საზოგადოების გარშემო დაძაბულობის შექმნის მცდელობების შესახებ თავის ოფიციალურ რელიზში შეშფოთებას გამოთქვამდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ეს ვითარების დაძაბვის უტყუარი ნიშანია.

მოდით, ვიყოთ რეალისტები. არავინ უარყოფს კეშიკჩიდაღის ანუ დავით გარეჯის მონასტრის მიდამოებში საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხის გადაჭრის აუცილებლობას, ან ქვემო ქართლში მრავალი სოციალურ, ეკონომიკურ, ენობრივ და სხვა საკითხთა სიმწვავეს, მით უმეტეს, კორონავირუსის პანდემიას. მიუხედავად ამისა, ერთია საზოგადოების ინტერესი და ღია დისკუსია და სულ სხვა რამ არის აშკარა პროვოკაციები, რომლითაც, მაგალითად, დაკავებულია შალვა ნათელაშვილის ლეიბორისტული პარტია – მონასტრის კედლებამდე „მსვლელობით", შეურაცხმყოფელი შეძახილებით, აზერბაიჯანელი მესაზღვრეების „დაბულინგებით". სწორედ ამგვარი ქმედებების დროს იარაღისა და სისხლისღვრისგან თავის არიდების მცდელობა „ბეწვზე კიდია"... ამასობაში, შალვა ნათელაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს „დიქტატორს" უწოდებს და ევროპაში მის წინააღმდეგ „პოლიტიკური ტალღის" აგორებას გეგმავს.

არის კიდევ ერთი პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი", რომელიც მიტინგებზე აზერბაიჯანს „ოკუპანტ ქვეყანას" უწოდებს და მონასტრის ხელში ჩაგდებაში ადანაშაულებს.

და რა ხდება კადრს მიღმა?

მოდით, თავი დავანებოთ იმას, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა საზღვრის დემარკაცია, უმჯობესია გადაწყდეს უხმაუროდ. ამასთან, ორივე მხრიდან რადიკალები უნდა იმყოფებოდნენ უსაფრთხო მანძილზე. დაწვრილებით არ მოვყვებით იმის აღწერას, რომ ქეშიკჩიდაღი, ანუ დავით გარეჯი არ არის ეკლესია ან მონასტერი, როგორიცაა, მაგალითად, სომხური ოკუპაციისგან გათავისუფლებული ყელბაჯარის მხარეში არსებული ჰუდავენგი. ეს არის მთის ფერდობი, რომელზეც ეკლესიები, საკათედრო ტაძრები და სამონასტრო საკნებია „მიმოფანტული". ამავდროულად, ამ კომპლექსის 95%-ს აკონტროლებს საქართველო და აზერბაიჯანი ამაზე არც დავობს. საუბარი შეეხება რამდენიმე ეკლესიას, რომელთა ჩამოთვლა თითებზეცაა შესაძლებელი და რომლებიც ნამდვილად აზერბაიჯანის ტერიტორიის სიღრმეში მდებარეობს. გავიხსენოთ კიდევ ერთი რამ. საქართველო, ასევე, ესაზღვრება სომხეთს. აი, ამ საზღვარზე, ქვემო ქართლის მარნეულის მხარეში, მდებარეობს ჰუჯაბის მონასტერი. უძველესი და ღირებული. ყველა ისტორიული და გეოგრაფიული ნორმის თანახმად, იგი საქართველოს ეკუთვნის. მაგრამ ის, უკანასკნელ წლებში, მოულოდნელად, სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. სომეხმა მესაზღვრეებმა ცეცხლიც კი გაუხსნეს ქართველ ჟურნალისტებს, რომელთაც იქ გადაღებების წარმოება სურდათ. ამავე დროს, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სომხეთი, რბილად რომ ვთქვათ, არ გამოირჩევა აღიარებული საზღვრების მიმართ დიდი პატივისცემით. სხვათა შორის, ის პრეტენზიებს აცხადებს არა მხოლოდ აზერბაიჯანისა და თურქეთის, არამედ საქართველოს მიმართაც.

1918 წელს ერევანი და თბილისი უკვე ომობდნენ, როცა სომხეთმა მოითხოვა ბორჩალოს მაზრა. 1985 წლის 11 დეკემბერს ფრანგულ-სომხურმა გაზეთმა „ჰამკმა" გამოაქვეყნა „სომხეთის რევოლუციური ფედერაციის პოლიტიკური მანიფესტი" („დაშნაკცუტიუნი"), სადაც პირდაპირ წერია: „... გაერთიანებული სომხეთის საზღვრებში უნდა იყოს მოქცეული სომხეთის ტერიტორიები; სევრის ხელშეკრულებით დადგენილი, ნახიჩევანის, ახალქალაქისა და ყარაბაღის რაიონების ჩათვლით". ორ წელიწადზე მეტმა დრომ განვლო და შემდეგ, ყარაბაღში სეპარატისტული აჯანყება დაიწყო, რომელიც, შემდგომში, ორ ქვეყანას შორის მასშტაბურ ომში გადაიზარდა. ჯავახეთის მიმართ პრეტენზიები ჯერაც არ მინავლებულა. მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ ამ პრეტენზიებს შეიძლება გარკვეული სათნოებით მოეპყრონ? კითხვა რიტორიკულია.

რას აკეთებენ ამ დროს აზერბაიჯანის საზღვარზე ქართული მონასტრის დამცველები? მარში ჩაატარეს? მოაწყვეს საპროტესტო აქცია საქართველოში სომხეთის საელჩოსთან? და რა გააკეთა „ქართულმა მარშმა", რომელმაც უკვე მოაწყო მარშები ქეშიკჩიდაღამდე, ანუ დავით გარეჯისკენ?

სამწუხარო და აღმაშფოთებელია, რომ ჰუჯაბის მონასტრის გარშემო სიჩუმეა, სწორედ ის სიჩუმე, რომელიც ბევრად უფრო მეტყველია, ვიდრე პატრიოტიზმის შესახებ ყველაზე ხმამაღალი სიტყვები. ვინაიდან, ეჭვგარეშეა: „საქართველოს ინტერესების დასაცავად", „ქართული მარში", „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" და მსგავსნი აპირებენ მოქმედებას მხოლოდ აზერბაიჯანის და არა სომხეთის წინააღმდეგ. მათი ხმა არ ისმის არც „სადავო ეკლესიებთან" დაკავშირებით, რომელთა უკან ისტორიის გაყალბება და ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიწებზე ძალიან მკაფიოდ იკვეთება, ან რა რეაქციებია საპასუხოდ სომხეთის მცდელობისა, ჯავახეთში სომხური სეპარატიზმის გაღვივებისას?!. როცა, პირდაპირი და აშკარა საფრთხე ემუქრება საქართველოს ინტერესებს, მის ეროვნულ უსაფრთხოებას და ტერიტორიულ მთლიანობასაც კი. მაგრამ ყველა ვაი-პატრიოტი დუმს, თითქოს პირში ჩაუგუბებიათ... კონკრეტულად რა? სომხური კონიაკი? თუ რუსული არაყი?

ახლა კი, ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზულად ყურადსაღები რამ: „ქართული მარში", რომელიც რეგულარულად აწყობს ანტიაზერბაიჯანულ პროვოკაციებს საქართველოში, როგორც ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ფილიალის თანამშრომლები ამტკიცებენ, რუსეთისგან ფინანსურ დახმარებას იღებს. მათი ყველაზე ხმაურიანი მოქმედებები აშკარად შედის „რუსული" დღის წესრიგში.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" ძალისხმევა, რომელიც ოფიციალური თბილისისგან ულტიმატუმის ენით მოითხოვს „ევროატლანტიკური" საქმიანობის შეწყვეტას, ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობების დასრულებას და რუსეთთან სასწრაფოდ ხიდების გადებას, რა თქმა უნდა, ისე, რომ არ დაველოდოთ სოხუმსა და ცხინვალზე საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას, ან თუნდაც, „მავთულხლართების აგრესიის" შეწყვეტას.

და კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი: პარტიები, მოძრაობები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოში მოქმედ რუსულ ფონდებთან – გორჩაკოვის ფონდთან და პრიმაკოვის ფონდთან, ავლენენ საკმაო აქტივობას ანტიაზერბაიჯანულ ქმედებებში.

ეს კი უკვე საინტერესოა. საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთი არ იმყოფება აზერბაიჯანთან საომარ მდგომარეობაში, არც, თუნდაც „გაყინულ" ან „მინავლებულ" კონფლიქტში. უფრო მეტიც, ქვეყნებს შორის მოქმედებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულება, დადებული რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის. მაშ, როგორ ავხსნათ ის, რაც ხდება? უბრალო დამთხვევაა? ძნელი დასაჯერებელია. სომხური ლობი? მაგრამ გორჩაკოვის ფონდს ხომ ოფიციალურად აკონტროლებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სხვა საკითხია ის, რომ სწორედ აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის რეგიონულმა პარტნიორობამ მისცა საქართველოს შესაძლებლობა, თავი დაეღწია რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულებისგან, რომლის გარეშეც მისი ამჟამინდელი პროდასავლური საგარეო პოლიტიკა თეორიულად შეუძლებელიც კი იქნებოდა. ნიშანდობლივია, რომ სულ ცოტა ხნის წინ რუსული საიტის **PolitNavigator**-ის გვერდებზე მოულოდნელად გამოჩნდა შოთა აფხაიძე, რომლის ხელმოწერილი სტატია ხმამაღალი სათაურით „საქართველომ თურქეთს მიჰყიდა მდინარე რიონი ხეობით და სასაზღვრო ზონით რუსეთთან" (როგორც მიხვდით, საუბარი ეხება მდინარე რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობას თურქული ფირმების მონაწილეობით) სადაც, სხვათა შორის, ავტორი ირწმუნება: „გაზისა და ნავთობის რესურსების იმპორტის თვალსაზრისით, საქართველო ნამდვილად არის დამოკიდებული იმპორტზე, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სულელური ანტირუსული პოლიტიკისა და „გაზპრომთან" თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო, გაზის ბაზარი მთლიანად დამოკიდებულია მეზობელ აზერბაიჯანზე".

ჩვენ შეგნებულად არ ვსვამთ კითხვებს ავტორის კულტურული დონის შესახებ თავისი ეპითეტებითურთ. უფრო მეტიც, ჩვენ არ დავინტერესდებით მისი პირადი ინტელექტუალური დონით და არ ვიკითხავთ, თუ რა პოლიტიკას უნდა ატარებდეს საქართველო ენერგიის იმპორტის საკითხში, 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის შემდეგაც კი, არამედ გაზსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქების შემდეგ, ჯერ კიდევ 2006 წ. აღარც კი შეგახსენებთ, რომ სწორედ აზერბაიჯანმა გადაარჩინა საქართველო ენერგეტიკული კატასტროფისგან. მაგრამ ამ პერსონაჟმა არ დააყოვნა ხაზი გაესვა რუსეთის გაღიზიანებაზე აზერბაიჯანთან და თურქეთთან საქართველოს პარტნიორობის გამო.

ეს კი ქართული აუდიტორიისთვის უკვე უნდა იქცეს ინფორმაციად განსჯისათვის; უბრალოდ, იმისათვის, რომ იცოდეთ და გაიგოთ, ვინ არის დირიჟორი ყალბი ანტიაზერბაიჯანული „გუნდისა" თბილისში და ვინ უკვეთავს მუსიკას.

**ელბრუს ფარმანი**
აზერბაიჯანულ-ქართულ-თურქული სტრატეგიული პარტნიორობის მხარდაჭერის საზოგადოებრივი ცენტრი

**რედაქცია არ ეთანხმება ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას.**
**„ს.გ."**

# სამძიმარი



„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მსახიობის კახი კავსაძის გარდაცვალების გამო.

კახი კავსაძე არა მარტო დიდი მსახიობი, არამედ, დიდი ქართველი და უკეთილშობილესი პიროვნება იყო.

მთელ საქართველოს ვუსამძიმრებთ ამ შესანიშნავი ხელოვანის და ბრწყინვალე ადამიანის გარდაცვალებას და აქვე გთავაზობთ ფრაგმენტს „საერთო გაზეთში“ ადრე გამოქვეყნებული წერილიდან, რომელიც ბატონი კახის საოცარ ადამიანურ თვისებებს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს:

„ამ ოცდაათი წლის წინათ, 90-იან წლებში, როცა თბილისში საქალაქო ტრანსპორტი გაქრა, თბილისის ქუჩებში უცნაური მძღოლი გამოჩნდა, რომელიც მგზავრებს უფასო მომსახურებას სთავაზობდა.

ეს ამბავი, როგორც წესი, საღამოს საათებში ხდებოდა, როცა შეგვიანებულ მგზავრს, ფაქტობრივად, შინ დაბრუნების ერთადერთი შანსი ჰქონდა — ფეხით გაჰყოლოდა სახლისკენ მიმავალ გზას.

— დაბრძანდით, ბატონო! სადაც მეტყვით, იქ მიგიყვანთ. მომსახურება უფასოა, — ეუბნებოდა მძღოლი მოულოდნელი შეთავაზებით შეცბუნებულ, უფრო ზუსტად, შეშინებულ მგზავრს.

დრო იყო ისეთი — ქუჩაში ათასი ჯურის ბანდიტი და ყაჩაღი დაძრწოდა და უცხო მანქანაში ჩაჯდომა სარისკო და სახიფათო საქმე იყო.

— ნუ გეშინიათ, ბატონო, დაბრძანდით! — ისევ იმეორებდა თხოვნას მძღოლი და დამფრთხალი მგზავრი კიდევ თუ გაჯიუტდებოდა, მანქანიდან გადმოდიოდა.

ხომ წარმოგიდგენიათ, რაოდენ დიდი იყო მგზავრის გაკვირვება, მერე კი საოცარი შვება და სიხარული, როცა „მოძალადე“ მძღოლში თავის საყვარელ მსახიობს კახი კავსაძეს ამოიცნობდა.

ასე ემსახურებოდა ბატონი კახი გაჭირვებაში ჩავარდნილ თავის თანაქალაქელებს, სანამ სიმწრით ნაშოვნი ბენზინი ბოლო წვეთამდე არ ამოიწრიტებოდა“.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი კახი კავსაძის ნათელი სული.



ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა“ და მისი ჟიურის შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი მსახიობის, „ოქროს ფრთის“ ლაურეატის, ბატონი კახი კავსაძის გარდაცვალების გამო.

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— ვინ შეიძლება მიმართოს სასამართლოს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ?**

• თვითონ მხარდასაჭერად საცნობმა პირმა;

• მხარდასაჭერად საცნობი პირის ოჯახის წევრმა;

• მხარდასაჭერად საცნობი პირის კანონიერმა წარმომადგენელმა;

• მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ;

• ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ, თუ პირი ამ დაწესებულებაშია მოთავსებული;

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ დაინტერესებულმა პირმა სასამართლოს უნდა მიმართოს განცხადებით.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმის განხილვა არ საჭიროებს სახელმწიფო ბაჟის ან სხვა რამე ხარჯის გადახდას.

პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება სასამართლოში, უნდა ჰყავდეს ადვოკატი.

მხარდასაჭერად საცნობ პირს, ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე ენიშნება სასამართლოს განჩინების საფუძველზე ან განმცხადებლის/მხარდასაჭერად საცნობი პირის განცხადების საფუძველზე სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურიდან.

• მხარდასაჭერად საცნობ პირს ექსპერტიზას უტარებს სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სასამართლოს მიმართვის (განჩინების) საფუძველზე.

• ექსპერტიზა ტარდება თვითონ ექსპერტიზის ბიუროში, განმცხადებლის/მხარდასაჭერად საცნობი პირის შუამდგომლობის საფუძველზე; თუ შეუძლებელი იქნება პირის ექსპერტიზის ბიუროში მიყვანა, სასამართლომ ექსპერტიზის ჩატარების ადგილად შეიძლება განსაზღვროს მხარდასაჭერად საცნობი პირის ადგილსამყოფელი.

• აღნიშნული ექსპერტიზა ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე, რაც იმას ნიშნავს, რომ განმცხადებელი/მხარდასაჭერად საცნობი პირი გათავისუფლებულია ექსპერტიზის ხარჯებისგან.

რა ვადით უნდა დაენიშნოს პირს მხარდაჭერა, კანონით არ არის განსაზღვრული, თუმცა ნებისმიერი ვადით დანიშვნის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დგინდება მისი გადასინჯვის პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

მხარდაჭერა შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ:

• მხარდაჭერის მიმღები გარდაიცვალა (ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო);

• მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაწესდა, აღარ არსებობს (ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო).

მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს მხარდასაჭერად საცნობი პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მხარდამჭერი არ შეიძლება იყოს:

• პირი, რომელსაც 18 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია;

• პირი, რომელიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო;

• პირი, რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა ან შეეზღუდა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდების გამო;

• პირი, რომელიც მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის მოვალეობისაგან გათავისუფლებულია მისი არაჯეროვნად შესრულების გამო.

(შენიშვნა: მხარდაჭერის დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის აღება შესაძლებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში).

მხარდამჭერი ვალდებულია:

• თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას;

• დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში;

• მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია;

• დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა დაუწესდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს.

მხარდამჭერის საქმიანობას აკონტროლებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.

სასამართლო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქმისწარმოების დასრულებამდე ანუ ვიდრე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, დანიშნოს დროებითი მხარდამჭერი, თუ მიიჩნევს, რომ იმ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, შესაძლებელია შეუქცევადი ზიანი მიადგეს, მაგალითად: შეუწყდეს პენსია/სოციალური პაკეტი, ვერ ისარგებლოს სათანადო მკურნალობით/ საჭირო მედიკამენტებით და ა.შ.

დროებითი მხარდამჭერი შეიძლება იყოს იგივე პირი, ვინც ძირითად მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს: მხარდასაჭერად საცნობი პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი.

* * *

**- სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, რას ნიშნავს არასრულწლოვნის ემანსიპაცია?**

- მუხლი 65. არასრულწლოვანის ემანსიპაცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი მოიცავს თქვენთვის საინტერესო საკითხს. წარმოგიდგენთ მის შინაარსს მთლიანად.

1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან — ამ წარმომადგენლების თანხმობით — მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

# ხუთი ქალბატონი პრეზიდენტი

## ვიგდის ფინბოგადოტირი (ისლანდია)

ვიგდის ფინბოგადოტირი პირველი ქალია მსოფლიოში, რომელიც პრეზიდენტად აირჩიეს. ის 1930 წელს რეიკიავიკში დაიბადა ინჟინრისა და მედდის ოჯახში. სწავლობდა გრენობლის, სორბონის და კოპენჰაგენის უნივერსიტეტში. 41 წლის ასაკში გოგონა იშვილა. ის პირველი მარტოხელა ქალი იყო ისლანდიაში, რომელსაც ბავშვის შვილად აყვანის ნება დართეს.

ვიგდისი უნივერსიტეტებში ფრანგულ დრამას ასწავლიდა, რეიკიავიკის თეატრალურ დასთან თანამშრომლობდა, ზაფხულობით კი გიდად მუშაობდა.

ის 1970 წელს დაარსებული ისლანდიის ფემინისტური მოძრაობის წევრი იყო, რომლის ინტერესების სფერო აღზრდაში გენდერული თანასწორობა, და, ზოგადად, ქალთა პრობლემები იყო. 1980 წელს ფემინისტებმა ძალები საპრეზიდენტო არჩევნებისკენ მიმართეს და კანდიდატად ვიგდისი დაასახელეს.

ვიგდისი ოთხი მამაკაცის წინააღმდეგ იბრძოდა.

ვიგდისმა არჩევნებში გაიმარჯვა. ის მოგვიანებით კიდევ სამი ვადით აირჩიეს პრეზიდენტად, ვიდრე 1996 წელს თვითონ არ თქვა უარი პოსტზე.



## აგატა ბარბარა (მალტა)




აგატა 1923 წელს ზაბარაში დაიბადა. მისი მამა სატვირთო ხომალდზე მუშაობდა, დედა კი ცხრა შვილს ზრდიდა.

1955 წელს ის მალტის განათლების მინისტრად დანიშნეს. აგატა ბარბარამ ქვეყნისთვის ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა: შემოიღო სავალდებულო დაწყებითი განათლება, გახსნა პედაგოგიური კოლეჯი და სპეციალური სკოლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, განათლება უფასო გახადა.

1981 წელს მალტაზე საკონსტიტუციო კრიზისი დადგა. მისი დაძლევის მიზნით აგატა ბარბარა 1982 წელს მალტის პრეზიდენტად დანიშნეს.

1987 წელს, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ, აგატა პოლიტიკიდან წავიდა. ის 2002 წელს გარდაიცვალა მშობლიურ ზაბარაში.

## ელენ ჯონსონ-სერლიფი (ლიბერია)

ელენი 1938 წელს პატარა აფრიკული ქვეყნის ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში დაიბადა. 17 წლის ასაკში ის ჯეიმს სერლიფს გაჰყვა ცოლად. ელენ სერლიფი ოთხ შვილს ზრდიდა და ავტოსარემონტო სახელოსნოში ბუღალტრად მუშაობდა. 1961 წელს ქმარს სასტიკი მოპყრობის გამო გაეყარა.

ელენ ჯონსონმა ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო აშშ-ში და ლიბერიის ფინანსთა სამინისტროში მოეწყო სამუშაოდ. რამდენიმე წლის შემდეგ ის მინისტრად დანიშნეს.

1980 წელს სემუელ კანიონ დოუმ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება განახორციელა. სერლიფს ქვეყნიდან გაქცევამ მოუწია. უკან ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა, ჯერ შინა პატიმრობაში იყო, მერე კი ათი წელი ციხე მიესაჯა.



1996 წელს ლიბერიაში საყოველთაო არჩევნები გამოცხადდა. 2005 წელს ელენ ჯონსონ-სერლიფი პრეზიდენტი გახდა.

2011 წელს სერლიფმა მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო. ელენ სარლიფი ორი ვადის შემდეგ გადადგა 2018 წელს.

2019 წელს ის ჯანმოს კეთილი ნების ელჩი გახდა.

## მიშელ ბაჩელეტი (ჩილე)

მიშელი 1951 წელს ჩილეს კომუნა ლა-სისტერნაში დაიბადა სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა პრესტიჟული სკოლა გოგონებისთვის და ჩილეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

1990-იან წლებში ჩილეში დემოკრატიულ მმართველობაზე გადავიდნენ. 2000 წელს მიშელ ბაჩალეტი უკვე ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრი იყო. კიდევ ორი წლის შემდეგ მიშელი თავდაცვის მინისტრად დანიშნეს. ამ პოსტზე ის პირველი ქალი იყო ლათინოამერიკულ ქვეყანებში.

2006 წელს მიშელ ბაჩალეტმა საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. მან ჩამოაყალიბა ახალი საპენსიო სისტემა, წარადგინა კანონი შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ. შექმნა ეკონომიკური და სოციალური სტაბილიზაციის ფონდი.

მიშელ ბაჩალეტმა 2013 წელს მეორედ იყარა კენჭი და გაიმარჯვა. მან განაგრძო პოლიტიკა, რომელიც გენდერულ თანასწორობაზე იყო მიმართული. ჩამოაყალიბა ახალი სამინისტრო, რომელიც ქალების პრობლემებზე მუშაობდა.

2018 წელს მიშელ ბაჩალეტის პრეზიდენტობის ვადა ამოიწურა. მან გაეროში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის პოსტი დაიკავა.



## ზუზანა ჩაპუტოვა (სლოვაკეთი)



ზუზანა ჩაპუტოვა ბრატისლავაში, მუშის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, გაიარა მმართველობის კურსი და საკუთარი იურიდიული ფირმა დააარსა. ის ეკოლოგიური სამართლის მსოფლიო ალიანსის წევრი გახდა, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე იურისტებს აერთიანებდა.

ზუზანა 14 წლის განმავლობაში მშობლიურ ქალაქ პეზინოკში ტოქსიკური ნარჩენების საყრელის განთავსების წინააღმდეგ იბრძოდა. ის დაუპირისპირდა მდიდარ მშენებელს, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლებაც უჭერდა მხარს.

მაგრამ 2013 წელს სლოვაკეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საყრელი უკანონოა და ეკოლოგიურ ნორმებს არღვევს. ზუზანამ გაიმარჯვა და გოლდმანის პრემია მიიღო — საერთაშორისო ექსპერტები მას იმ აქტივისტებს ანიჭებენ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ეკოლოგიისთვის ბრძოლაში და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს გარემოს დაცვაზე.

საპრეზიდენტო მარათონში ზუზანა 2017 წელს ჩაება, როცა პარტია „პროგრესულ სლოვაკეთის" წევრი გახდა, 2019 წელს მან საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


## ასკურავას მეთოდი

ასკურავას მეთოდით, ქირურგიული ჩარევის გარეშე, სწრაფად, ეფექტურად და უმტკივნეულოდ რჩება სხვადასხვა სახის მოტეხილობა, ნაღრძობი, მენისკი, პერტესი, პოდაგრა და ძვლების სხვა დაავადებები.

საგვარეულო საიდუმლო დღემდე რჩება საიდუმლოდ და მისი ანალოგი არ მოიპოვება მსოფლიოში.

დღეს ფირმას ხელმძღვანელობს ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრის

**ბიჭიკო ასკურავას შვილიშვილი, ექიმი დავით ასკურავა.**

მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონებზე:
მობ.: 593 55 00 30; 577 41 19 11.
ტელ.: 2 99 96 94; 2 98 86 84.



„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი"
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), მთვარისა კევლიშვილი (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99